# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №1321

## 2007 წლის 28 დეკემბერი

## ქ. თბილისი

## ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრ ის ბრძანება № 426 - ვებგვერდი, 31 . 1 2.2014წ.*
*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №484 - ვებგვერდი, 03.01.2018წ.*

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის „შ“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:
*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 4 71 - ვებგვერდი, 3 1 .12.2015წ.*
*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №484 - ვებგვერდი, 03.01.2018წ.*

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ.
*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №484 - ვებგვერდი, 03.01.2018წ.*
2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად, იხელმძღვანელონ ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებულმა ან/და მის მიმართ ანგარიშვალდებულმა/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა/არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირებმა, თუ ისინი არიან შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციები.
*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №960- სსმ III, №186, 30.12.2008წ., მუხ.1949*
*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრ ის ბრძანება № 426 - ვებგვერდი, 31 . 1 2.2014წ.*
*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №484 - ვებგვერდი, 03.01.2018წ.*
3. ბრძანება ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

ნ. გილაური

## ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

## ავტონომური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრ ის ბრძანება № 426 - ვებგვერდი, 31 . 1 2.2014წ.*
*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №484 - ვებგვერდი, 03.01.2018წ.*

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი

1. წინამდებარე ინსტრუქცია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაციების (შემდგომში – „ორგანიზაციების“) აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.
2. ინსტრუქციის მიზანია ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი წესების, პირობების და ანგარიშთა გეგმის განსაზღვრა.
3. ამ ინსტრუქციაში გამოყენებული, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის” და სხვა ტერმინები და ცნებები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ შესაბამის სფეროში, თუ ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) ეკონომიკური ორგანიზაცია – სახელმწიფო ერთეულების (შემდგომში – ერთეულები) ჯგუფი, რომელიც შედგება ერთი მაკონტროლებელი და ერთი ან ერთზე მეტი კონტროლირებადი ორგანიზაციისგან;
ბ) ეკონომიკური მოვლენა – ოპერაცია და სხვა მოვლენა, რომელიც ასახავს ღირებულების შექმნას,

გარდაქმნას, გაცვლას, გადაცემას ან ანულირებას;
გ) აქტივი – რესურსი, რომელსაც ერთეული აკონტროლებს წარსულში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შედეგად და საიდანაც მოელის ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას;
დ) ვალდებულება – წარსული ეკონომიკური მოვლენის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება, რომლის დაფარვა გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის სახით ერთეულის რესურსების გადინებას;
ე) წმინდა ღირებულება – აქტივების და ვალდებულებების მთლიან ღირებულებას შორის სხვაობა (გარდა არასაბიუჯეტო საქმიანობით წარმოქმნილისა);
ვ) მცირეფასიანი აქტივი – 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა;
ზ) საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა – არაფინანსური აქტივების წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის;
თ) ვადაგადაცილებული დავალიანებები – მოკლევადიანი ვალდებულება, რომლის დაფარვა განსაზღვრული იყო ანგარიშგების თარიღამდე;
ი) ანგარიშგების თარიღი – საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო თარიღი, რომელთანაც დაკავშირებულია ანგარიშგება;
კ)აქტივის საბალანსო ღირებულება – თანხა, რომლითაც აქტივი აღრიცხულია ანგარიშგებაში, პირვანდელი/შეძენის ღირებულების შემდგომი კორექტირებების (ცვეთის, გადაფასების, შემთხვევითი დაზიანებით გამოწვეული დანაკარგების და ა.შ.) გათვალისწინებით;
ლ)მოკლევადიანი აქტივი/ვალდებულება – საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული აქტივები/ვალდებულებები, რომელთა გამოყენება(მოხმარება)/დაფარვა მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღიდან ერთი წლის ან/და საბიუჯეტო წლის განმავლობაში, გარდა მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებებისა;
მ) მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები – საანგარიშო წლის დაზუსტებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში აღებული ფინანსური ვალდებულბა;
ნ) გრძელვადიანი აქტივი/ვალდებულება – ყველა სხვა აქტივი/ვალდებულება, რომელიც არ არის მოკლევადიანი;
ო) ფულადი მუხლი – ანგარიშებზე არსებული ვალუტა და დეპოზიტები, ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა მიღება/დაფარვა ხორციელდება მონეტარული ოპერაციებით – ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრადი ოდენობით;
პ) არაფულადი მუხლი – მუხლი, რომელიც არ არის ფულადი;
ჟ) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი – ცალკეული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი;
რ) ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები – პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, სააღრიცხვო პოლიტიკით/შიდა აღრიცხვის პროცედურებით განსაზღვრული დოკუმენტები და მაგროვებელი დოკუმენტები;
ს) მაგროვებელი დოკუმენტები – სააღრიცხვო რეგისტრები, ჟურნალები, „მთავარი წიგნი“ და სხვა მაგროვებელი დოკუმენტები;
ტ) ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტები – ერთ კონკრეტულ ეკონომიკურ მოვლენასთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები (გარდა მაგროვებელი დოკუმენტებისა).
უ) ფინანსური იჯარა – გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე, საკუთრების უფლების გადაცემის მიუხედავად;
ფ) საოპერაციო იჯარა- იჯარა, რომელიც არა რაის ფინანსური იჯარა;
ქ) რეალური ღირებულება – თანხა რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის ,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით;
ღ) სააღრიცხვო პოლიტიკა – ერთეულის მიერ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა;
ყ) სხვა მოვლენა – აქტივის ან ვალდებულების მოცულობის ან ღირებულების ცვლილება, რომელიც ოპერაციის შედეგს არ წარმოადგენს;
შ) ბუღალტერი – ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებაზე ან/და ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი მომუშავე ან ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული სხვა კომპეტენტური პირი;
ჩ) ანგარიშვალდებული პირი – ორგანიზაციის მომუშავე, რომელსაც მიღებული აქვს ორგანიზაციის აქტივები და არ აქვს წარდგენილი ანგარიში მის განკარგვა გამოყენების თაობაზე.
2. საბიუჯეტო და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული ტერმინები გამოიყენება იმავე მნიშვნელობით რა მნიშვნელობაც მათ აქვთ შესაბამის სფეროში, თუ ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

**მუხლი 3. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია**

1. ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ მატერიალური ფორმით ან ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით, ამ ინსტრუქციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის და ანგარიშთა გეგმის შესაბამისად,

2. ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა მომზადებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად

3. ინსტრუქცია განმარტავს თითოეულ ბუღალტრულ ანგარიშს, მის დანიშნულებას და განაზოგადებს ანგარიშზე აღრიცხული მოვლენის ეკონომიკურ შინაარსს.

4. ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა ანგარიშგების მიზნებისთვის, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აქტივების და ვალდებულებების ანგარიშების დაჯგუფებას ვადიანობის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) მიხედვით.

5. ბუღალტრული ანგარიშთა გეგმა უზრუნველყოფს ანგარიშგებაში აქტივების და ვალდებულებების წარდგენას ლიკვიდობის კლების მიხედვით, თუ მოკლევადიანი და გრძელვადიანი მუხლების ბალანსში განცალკევებით ასახვის მოთხოვნა არ არის.

6. ნებადართულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, ხოლო ანგარიშგება აწარმოონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

8. ორგანიზაციის ხელმძღვანელი აღრიცხვის და ანგარიშგების ორგანიზების მიზნით, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვრავს: სააღრიცხვო პოლიტიკას/შიდა აღრიცხვის წესებს, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციულ ფორმას, ანგარიშწარმოების ფორმას, სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიას, ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკურ მეთოდურ მითითებებს, შიდა ანგარიშგების ფორმებსა და კონტროლის სისტემას.

9. კანონმდებლობის შესაბამისად სააღრიცხვო პოლიტიკის/შიდა აღრიცხვის წესების ფარგლებში შიდა მეთოდური მითითებების და წესების შემუშავების დროს, ხელმძღვანელობას შეუძლია გაითვალისწინოს: ა) სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიისა (GFSM 2001) და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დებულებები; ბ)მიღებული პრაქტიკა აღრიცხვის და ანგარიშგების კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით; გ) საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება – იმ პირობით, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნებს.

10. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით, ორგანიზაციებს უფლება აქვთ მოამზადონ რეკომენდაციები მოქმედ ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შესატანად და წარადგინონ ფინანსთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

11. ორგანიზაციაში ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საბუღალტრო სამსახური (ბუღალტერია).

12. ორგანიზაციაში საბუღალტრო სამსახურის (ბუღალტერიის) არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ორგანიზაციის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ანგარიშგების შედგენა დაქირავებული ბუღალტრის შრომის გამოყენებით ან სხვა კომპეტენტური პირის მომსახურებით.

13. ანგარიშგების შედგენისას ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს ანგარიშგების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით და გაითვალისწინოს ამ ინსტრუქციით განსაზღვრული ბუღალტრული აღრიცხვის წესები და პირობები.

**მუხლი 4. ბუღალტრის უფლება-მოვალეობები**

1. ბუღალტრის უფლება-მოვალეობებია:

ა) აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით მომუშავეთა ფუნქციების განაწილება და მათი მუშაობის კოორდინირება;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ანგარიშგების მომზადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) კონტროლი ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე, ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კლასიფიკაციის მოთხოვნების დაცვით;

დ) კონტროლი ეკონომიკური მოვლენების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების (მ.შ. პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების) დროულ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებაზე;

ე) ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით;

ვ) მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების სრული და დროული აღრიცხვა;

ზ) იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორებათა სრული და დროული აღრიცხვა;

თ) არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვა;

ი) დამტკიცებული ფორმით ანგარიშგების დადგენილ ვადებში შედგენა;

კ) მატერიალური/ელექტრონული ფორმის ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების/ ანგარიშგებების

დადგენილი წესით შენახვა;
ლ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.
2. ბუღალტერს უფლება არ აქვს აღრიცხვაში ასახვის მიზნით მიიღოს პირველადი ან ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტები ისეთ ოპერაციებზე ან სხვა მოვლენებზე, რომლებიც არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი წერილობითი თანხმობით ადასტურებს ოპერაციის აღრიცხვაში ასახვის მიზანშეწონილობას. წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, ოპერაციების ან სხვა მოვლენების ასახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელს.
3. ბუღალტრის მიერ დაკავებული თანამდებობის დატოვების (გათავისუფლება, დანიშვნა სხვა თანამდებობაზე, გადასვლა) დროს, ან ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებაზე ან/და ანგარიშგების მომზადებაზე ხელშეკრულების დასრულების/გაუქმების შემთხვევაში, ბუღალტერმა ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები ან/და ანგარიშგებები უნდა გადასცეს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირ(ებ)ს, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.
4. საბუღალტრო სამსახურის (ბუღალტერიის) ხელმძღვანელი (შემდგომში – ბუღალტერი) განსაზღვრავს საბუღალტრო სამსახურის მომუშავეთა ფუნქციებს, კოორდინაციას უწევს მათ მუშაობას და ხელმძღვანელობს ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას.
5. საბუღალტრო სამსახურის (ბუღალტერიის) მოთხოვნა დადგენილი ფორმით და წესით დოკუმენტების (მათ შორის, ელექტრონული ფორმის) და ცნობების ბუღალტერიაში წარდგენაზე, სავალდებულოა ორგანიზაციის ყველა სტრუქტურისა და მომუშავისათვის.
6. ეკონომიკური მოვლენების ამსახველ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს ხელს აწერენ ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკით/შიდა აღრიცხვის წესით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირები.
7. ორგანიზაციებში, სადაც მოქმედებს ელექტრონული დოკუმენტი და ელექტრონული ხელმოწერა, კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ სისტემაში შექმნილ დოკუმენტს/განხორციელებულ ქმედებას, მისთვის გადაცემული საავთენტიფიკაციო მონაცემების საშუალებით, აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს/მატერიალურ დოკუმენტზე განხორციელებულ ქმედებას.

**მუხლი 5. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა**

1. ორგანიზაციები სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას აწარმოებენ მატერიალური ფორმით ან ელექტრონულად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით.
2. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებია:
ა) ორმხრივობის – აქტივები ტოლია ვალდებულებების და კაპიტალის ჯამის;
ბ) ფულადი ღირებულებებით შეფასების – ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები ასახავენ მხოლოდ იმ მოვლენებს, რომლებიც შეიძლება ფულადი სახით აღირიცხოს;
გ) აქტივების შეფასების – სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, აქტივის თანხა განისაზღვრება მისი რეალური ღირებულებით. სხვა შემთხვევაში შეფასება ემყარება მის თვითღირებულებას;
დ) ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) – ბუღალტრული აღრიცხვის დაშვება, რომ ორგანიზაცია განაგრძობს თავის საქმიანობას წლიდან წლამდე განუსაზღვრელი ვადით, თუ არარსებობს საპირისპიროს მტკიცების საფუძველი.
3. ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს.
4. პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები შედგენილი უნდა იქნეს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის მომენტში, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე და აღრიცხვაში ასახვის მიზნით, ბუღალტერიას უნდა გადაეცეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, თუ ორგანიზაციის მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი.
5. იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციაში მოქმედებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, ბუღალტრული დოკუმენტების ელექტრონული ფორმით მიღების და გასვლის დრო განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. პირველად დოკუმენტებში აღინიშნება შემდეგი რეკვიზიტები: დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, ოპერაციის შინაარსი, ზომის ერთეული (თუ გააჩნია გაზომვის ფიზიკური ერთეული, რომელთანაც შესაძლებელია ფასების დაკავშირება), რაოდენობა, ფასი, თანხა, ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტების სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობს მოვლენის შინაარსიდან და მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიის თავისებურებებიდან.
7. სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და აღრიცხვა ხორციელდება სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ მოქმედი კანონმდებლობით.
8. ორგანიზაციაში პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები ან ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტები ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ექვემდებარება შემოწმებას, როგორც ფორმის (დოკუმენტის სისრულე და გაფორმების სისწორე, რეკვიზიტების შევსება), ასევე შინაარსის მიხედვით

(ოპერაციის სახელშეკრულებო და სხვა საკანონმდებლო საფუძვლების არსებობა, რაოდენობის, ფასის, თანხის და სხვა მაჩვენებლების ლოგიკური შესაბამისობა თანდართულ დოკუმენტებთან).

9. დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობისათვის, აგრეთვე პირველადი დოკუმენტების თავისდროული და ხარისხიანი შედგენისათვის, პასუხს აგებენ ამ დოკუმენტის შემდგენნი და ხელის მომწერი პირები.

10. დოკუმენტები, შემოწმების და მიღების შემდეგ, სისტემატიზირდება და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახება თითოეული ანგარიშისთვის გახსნილ მემორიალურ ორდერებში/სხვა ფორმებში ან ელექტრონულად შემუშავებულ ფორმებში (შემდგომში „მემორიალური ორდერი“) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით.

11. მემორიალურ ორდერში ანგარიშთა კორესპონდენცია ჩაიწერება ეკონომიკური მოვლენის შინაარსის მიხედვით, მარტივი ან რთული გატარების სახით.

12. მემორიალურ ორდერებს ხელს აწერენ ბუღალტერი (ან მისი შემცვლელი პირი) და შემსრულებელი.

13. თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერი შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აიკინძება. ყდაზე დაეწერება: ორგანიზაციის სრული დასახელება, საანგარიშგებო პერიოდი (წელი და თვე), მემორიალური ორდერების საწყისი და საბოლოო ნომრები, ხოლო ორგანიზაციებში, სადაც მოქმედებს ელექტრონული საინფორმაციო სისტემები, აღნიშნული ინფორმაცია და დოკუმენტები ელექტრონული ფორმით აისახება და ინახება საინფორმაციო ბაზაში.

14. მემორიალური ორდერის ჩანაწერები თავს იყრის მაგროვებელ უწყისებში, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

15. იმ ორგანიზაციებში, სადაც ოპერაციების და სხვა მოვლენების მოცულობა მცირეა ან ბუღალტრული აღრიცხვა ორგანიზებულია სხვა ფორმით, დასაშვებია ორგანიზაციის მიერ არ იქნეს გამოყენებული მაგროვებელი უწყისები.

16. მაგროვებელი უწყისებიდან მონაცემები გადაიტანება სინთეზური აღრიცხვის ძირითად რეგისტრში – „მთავარ წიგნში“, ანგარიშთა გეგმის შესაბამისად.

17. „მთავარი წიგნი“ იხსნება ყოველი წლის დასაწყისში გასული წლის საბოლოო ნაშთების – საწყისი ნაშთების სახით გადმოტანით.

18. ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ელექტრონულ ან ქაღალდის რეგისტრებში (ჟურნალები, ბარათები და სხვ.).

19. მატერიალური ფორმით აღრიცხვის წარმოებისას, ჩანაწერის გაკეთებამდე ინომრება ყველა გვერდი (ფურცელი). ყოველ ჟურნალს დაეწერება ორგანიზაციის დასახელება და წელი, რომლისთვისაც გახსნილია ჟურნალი.

20. ბარათები ინახება კარტოთეკებში, რომლებშიც ისინი ლაგდება ანგარიშებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით. მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან დადგენილი წესით იდება წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. ყოველი თვის დამთავრებისას, ანალიზური აღრიცხვის ბარათებზე ჯამდება თანხები და გამოიყვანება ნაშთები ანგარიშების მიხედვით.

21. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ჩანაწერების სისწორის კონტროლის მიზნით, ყოველთვიურად დგება ბრუნვათა უწყისები ანალიზური ანგარიშების ყოველი ჯგუფისათვის და ბრუნვათა უწყისების ანალიზურ ანგარიშებზე ბრუნვები და ნაშთები უდარდება „მთავარი წიგნის“ შესაბამისი ანგარიშების ნაშთებს.

**მუხლი 6. შეცდომების გასწორება**

1. მიმდინარე წლის საანგარიშო მონაცემებში აღმოჩენილი შეცდომების გასწორება წარმოებს შემდეგი წესით:

ა) დაშვებული შეცდომა, რომელიც არ მოითხოვს მემორიალური ორდერის მონაცემების შეცვლას, სწორდება არასწორი თანხისა და ტექსტის წვრილი ხაზით გადახაზვით ისე, რომ შესაძლებელი იყოს გადახაზულის წაკითხვა. გადახაზულის ზემოდან დაიწერება შესწორებული ტექსტი და თანხა. ამავდროულად, შესაბამისი სტრიქონის მინდორზე, კეთდება წარწერა შესწორებულია;

ბ) დაშვებული შეცდომა, რომელიც გამოწვეულია მემორიალურ ორდერში არასწორი ჩანაწერით, შეცდომის ხასიათის მიხედვით სწორდება დამატებითი მემორიალური ორდერის შედგენით ან „წითელი სტორნოს“ წესით და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა მოხდა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე ბუღალტრულ რეგისტრებში ჩანაწერის შეტანა.

2. გასული წლების საანგარიშო მონაცემებში აღმოჩენილი შეცდომის გასწორება წარმოებს მიმდინარე პერიოდის აღრიცხვასა და ანგარიშგებაში დამატებითი ბუღალტრული ჩანაწერების მეშვეობით, შესაბამისი ბუღალტრული ცნობის შედგენით, სადაც მითითებული უნდა იყოს ბუღალტრული ჩანაწერის საფუძველი და სხვა საჭირო ინფორმაცია.

3. ორგანიზაციებში, სადაც მოქმედებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, შეცდომის შესწორება ხდება პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისად.

**მუხლი 7. არქივი**

1. მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით არსებული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები და ანგარიშგებები ორგანიზაციაში ინახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის

განმავლობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების და ანგარიშგებების დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე იქმნება დაკარგვის ან განადგურების მიზეზების შემსწავლელი კომისია. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების მოწვევა. კომისიის მუშაობის შედეგები ფორმდება აქტით, რომელიც მტკიცდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.

3. მატერიალური ფორმით არსებული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები და ანგარიშგებები ორგანიზაციის არქივში გადაცემამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა ინახებოდეს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის ქვეშ. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების და ანგარიშგებების ორგანიზაციის არქივში ჩაბარების ვადები და პერიოდულობა განისაზღვრება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4. ელექტრონული ფორმით არსებული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები და ანგარიშგებები ინახება ორგანიზაციის საინფორმაციო ბაზაში, დადგენილი წესის შესაბამისად.

## თავი II

## ეკონომიკური მოვლენები და ბუღალტრული აღრიცხვის წესები

**მუხლი 8. სააღრიცხვო სისტემა**

1. ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ სააღრიცხვო სისტემაში, ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისათვის გამოიყენება ორმაგი ჩაწერის მეთოდი.

2. ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე და შედეგებზე, კლასიფიცირდება ოპერაციებად და სხვა მოვლენებად.

3. ოპერაცია წარმოადგენს როგორც ურთიერთშეთანხმების (ერთეულებს შორის ურთიერთშეთანხმების პირობების წინასწარ გაცნობისა და თანხმობის) საფუძველზე ორ ერთეულს შორის ურთიერთმოქმედებას, ასევე მოქმედებას ცალკეული ერთეულის შიგნით.

4. ურთიერთშეთანხმება არ ითვალისწინებს ორივე ერთეულის ოპერაციაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის აუცილებლობას. სავალდებულო ხასიათის ქმედებები, რომლებიც აუცილებელია (სასამართლო ან ადმინისტრაციული) გადაწყვეტილებების შესასრულებლად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ნებაყოფლობითი, წარმოადგენს ოპერაციას.

5. ქმედება, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე ერთეული მოქმედებს ორ განსხვავებულ ასპექტში, განიხილება შიდა ოპერაციად.

6. ოპერაციები კლასიფიცირდება გაცვლით და არაგაცვლით ოპერაციებად.

7. ოპერაცია წარმოადგენს გაცვლას, როცა ერთეული იღებს აქტივს/მომსახურებას ან ფარავს ვალდებულებას და საქონლის/მომსახურების ან აქტივების გამოყენების უფლების სახით მეორე მხარეს, ამ აქტივის/მომსახურების სანაცვლოდ, გადასცემს მიახლოებით ტოლ ღირებულებას.

8. არაგაცვლითია ოპერაცია, რომელიც არ არის გაცვლითი.

9. არაგაცვლითი ოპერაციის დროს ერთეული სხვა ერთეულისგან სანაცვლოდ ან არ იღებს მიახლოებით ტოლ ღირებულებას, ან სანაცვლო ღირებულებას გადასცემს სხვა მხარეს მის მიერ ღირებულების მიღების გარეშე.

10. ოპერაციები იყოფა მონეტარულ და არამონეტარულ ოპერაციებად.

11. მონეტარულია ოპერაცია, რომლის შედეგად ორგანიზაციაში მოსალოდნელია ფულადი სახსრების შემოდინება ან გადინება.

12. მონეტარული ოპერაციების გარდა, ყველა დანარჩენი ოპერაცია წარმოადგენს არამონეტარულს.

13. არამონეტარული ოპერაციები (ბარტერი, სასაქონლო ფორმით გადახდები და სხვ.), მონეტარულის მსგავსად, სააღრიცხვო სისტემაში აისახება ღირებულებითი მაჩვენებლით.

14. ბარტერულია ოპერაცია, თუ ორი ერთეული ცვლის თანაბარი ღირებულების საქონელს, მომსახურებას ან აქტივებს, გარდა ფულადი სახსრებისა. იმ შემთხვევაში თუ არ ხდება თანაბარი ღრებულებით გაცვლა, სხვაობის თანხა აისახება როგორც შესყიდვის ან გაყიდვის ოპერაცია.

15. სასაქონლო ფორმით გადახდებია, ვალდებულების დაფარვის მიზნით, გადახდის განხორციელება საქონლის, მომსახურების ან აქტივების (გარდა ფულადი სახსრებისა) მიწოდებით.

16. იმ შემთხვევაში, როცა ოპერაცია აღრიცხვაში არ აისახება ისე, როგორც ხორციელდება, აღრიცხვის მიზნებისთვის გამოიყენება მოდიფიცირების სახეები: პირობითი გადამისამართება, დანაწევრება და გადანაწილება.

17. პირობითი გადამისამართება ხდება მაშინ, როდესაც ერთეული, რომელიც წარმოადგენს ოპერაციის ერთ-ერთ მხარეს, ადმინისტრაციული მექანიზმების გამო არ ფიგურირებს ფაქტობრივ სააღრიცხვო ჩანაწერებში.

18. დანაწევრება წარმოადგენს მოცემულ სააღრიცხვო სისტემაში ასახვის მიზნით ოპერაციის დაშლას ორ ან მეტ ოპერაციად, რომელიც ოპერაციაში მონაწილე მხარეების მიერ განიხილება როგორც ერთი ოპერაცია.

19. გადანაწილება ხდება იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ერთეული გამოდის მეორე ერთეულის აგენტის

როლში. შემოსულობების ამკრეფი ერთეულის მიერ ნაწილი თანხის დაკავების შემთხვევაში, დაკავებული თანხა აისახება როგორც შემოსულობების ამკრეფი ერთეულის მიერ მომსახურების გაყიდვა.

20. აქტივების ან ვალდებულებების ცვლილება სხვა მოვლენების შედეგად აღირიცხება არასაოპერაციო შემოსავლებად/არასაოპერაციო ხარჯებად.

**მუხლი 9. ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვაში ასახვის დრო**

1. ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მას ჰქონდა ადგილი, გარდა ამ ინსტრუქციით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

1[1]. შესაბამისი ბიუჯეტის ასიგნებების არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური მომსახურების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სხვა უწყვეტი მომსახურების შესყიდვისას, ასევე საბიუჯეტო წლის დეკემბრის თვის შრომის ანაზღაურებისას, თუ ხარჯის მოცულობის გაანგარიშება ხდება ნამუშევარი დროის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ანგარიშსწორება ხდება მომდევნო საბიუჯეტო წელს, დასაშვებია ოპერაციების აღრიცხვა პირველადი დოკუმენტების ორგანიზაციაში წარდგენის/შექმნის თარიღით და მიკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებისთვის, რომელ პერიოდშიც მოხდა მათი წარდგენა/შექმნა.

2. ( ძალადაკარგულია 2018 წლის 1 აპრილიდან - 29.12.2017, № 484)

3. ორგანიზაციები გადასახადების გაანგარიშების და გადახდის დროს ხელმძღვანელობენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

4. ცალკეული სავალდებულო ტრანსფერი (სანქციები, ჯარიმები, ქონების კონფისკაცია და სხვ.), განისაზღვრება დროის განსაზღვრული მომენტისათვის. ეს ტრანსფერები აღრიცხვაში აისახება ფულადი სახსრების მოთხოვნის კანონიერი უფლების მოპოვების მომენტში, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებით/ ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილების გამოქვეყნებით ან ხელშეკრულების პირობებით.

5. ფულადი გრანტებისა და სხვა ნებაყოფლობითი ტრანსფერების აღრიცხვაში ასახვის დროის დადგენისას (მათი გამოყენებისათვის სხვადასხვა იურიდიული ძალის მრავალი განსხვავებული პირობის არსებობის შემთხვევაში) ხდება შეფასება იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა კონკრეტული პირობები (განსაზღვრული მიზნებისათვის ხარჯების წინასწარი გაწევა ან შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება და სხვ.), რის მიხედვითაც გრანტის/სხვა ნებაყოფლობითი ტრანსფერების პოტენციურ მიმღებს გააჩნია კანონიერი მოთხოვნის უფლება. ეს ტრანსფერები აღრიცხვაში აისახება ყველა მოთხოვნის და პირობის შესრულებისას. სხვა შემთხვევებში, როცა ფულადი სახსრების მიმღებს არ გააჩნია დონორის მიმართ არანაირი მოთხოვნა, ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების, ნებაყოფილებითი ტრანსფერების, გარდა გრანტებისა მიღების აღრიცხვისთვის დასაშვებია საკასო მეთოდის გამოყენება.

6. დეპოზიტური თანხები აღრიცხვაში აისახება ანგარიშებზე თანხების განთავსების მომენტში და აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივის (ფულადი სახსრების), ასევე ფინანსური ვალდებულების (ვალდებულებები დეპოზიტებით) სახით.

7. ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში მიღებული დაფინანსება ორგანიზაციების მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით.

8. არაფინანსური აქტივების ოპერაციები აღრიცხვაში აისახება საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია ამ მომენტის ზუსტად განსაზღვრა, ოპერაცია აღრიცხვაში აისახება მფლობელის ფიზიკური შეცვლის ან კონტროლის უფლების გადაცემის მომენტში.

9. ოპერაციები ფინანსური აქტივების მრავალი კატეგორიის მიხედვით (ფასიანი ქაღალდები, სესხები, ვალუტა და დეპოზიტები), აღრიცხვაში აისახება აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან.

10. ოპერაციები მომსახურებაზე აისახება მომსახურების გაწევისას.

11. იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურება ხორციელდება ერთზე მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და ეკონომიკურ მოვლენებს ადგილი აქვს უწყვეტად, ოპერაციები ასეთი მომსახურებით უზრუნველყოფის მთელი პერიოდის განმავლობაში აისახება. თითოეული პერიოდისათვის მიკუთვნებული მომსახურების ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად აიღება მიწოდებული მომსახურების მოცულობა (რაოდენობა) ან მოთხოვნილი გადახდები.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №460 - ვებგვერდი , 24.12.2018 წ.*

**მუხლი 10. ღირებულებითი შეფასება**

1. ეკონომიკური მოვლენების შედეგად, აქტივების ღირებულება განისაზღვრება პირვანდელი ან შეძენის ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ყველა იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც მათი შესყიდვის, უსასყიდლოდ მიღების ან წარმოების/მომსახურების შემდეგ ჰქონდა ადგილი. ასეთი ცვლილებებია: არსებითი გაუმჯობესება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, მოგება ან ზარალი ფლობიდან, ამოწურვა, გამოფიტვა, ხარისხის გაუარესება, გაუთვალისწინებელი დაძველება, შემთხვევითი დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები და სხვა დანაკარგები.

2. არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აღრიცხვაში აისახება რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

3. როდესაც უცხოური ვალუტის ოპერაციის შედეგად წარმოიქმნება ფულადი მუხლები და ოპერაციის თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის სავალუტო კურსი იცვლება, წარმოიქმნება საკურსო სხვაობა. როდესაც ანგარიშსწორება ხდება იმავე სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც განხორციელდა ოპერაცია, მთელი საკურსო სხვაობა აღიარდება ამ პერიოდში, ხოლო როდესაც ოპერაციის ანგარიშსწორება ხდება მომდევნო სააღრიცხვო პერიოდებში, საკურსო სხვაობა ანგარიშსწორების თარიღამდე განისაზღვრება და აღიარდება თითოეულ პერიოდში გაცვლითი კურსის ცვლილების შესაბამისად.

4. ოპერაციის თარიღი წარმოადგენს თარიღს, როდესაც პირველად შესრულდება ოპერაციის აღიარების კრიტერიუმები.

5. ეკონომიკური ერთეულის ანგარიშგების მომზადების და წარდგენის მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტად გამოიყენება ეროვნული ვალუტა.

6. საანგარიშგებო თარიღისათვის გადაანგარიშებას ექვემდებარება უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სავალუტო კურსის გამოყენებით, რომელთა არსებითი მახასიათებელი არის უფლება, მიიღო ან ვალდებულება, რომ შეასრულო ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრული ოდენობა.

7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული არაფულადი მუხლები, რომელთა მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს უფლების არქონა, მიიღო ან ვალდებულება, რომ შეასრულო ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრული ოდენობა, არ ექვემდებარება გადაანგარიშებას საანგარიშგებო თარიღისათვის.

8. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ა) ფულადი მუხლების დაფარვისას, ან

ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ანგარიშგებაში ფულადი მუხლების თავდაპირველი აღიარებისას გამოყენებული კურსისაგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას, აღიარებული უნდა იქნეს როგორც არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიქმნებიან.

**მუხლი 11. პირობითი ინსტრუმენტები**

1. ინსტრუმენტი, რომელიც წარმოქმნილია წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ერთეულის ფინანსურ შედეგებზე ან მდგომარეობაზე იმის მიხედვით, მომავალში მოხდება თუ არ მოხდება ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენა, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება ორგანიზაციის კონტროლს, განიხილება როგორც პირობითი ინსტრუმენტი.

2. ამ ინსტრუქციით განსაზღვრული საააღრიცხვო სისტემა ითვალისწინებს პირობით აქტივებს და პირობით ვალდებულებებს. არცერთი პირობითი ინსტრუმენტი არ წარმოადგენს უპირობო მოთხოვნას ან ვალდებულებას და არ განიხილება როგორც ფინანსური აქტივი ან ვალდებულება.

3. განსაკუთრებული მნიშვნელობის პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები აღრიცხვაში აისახება აგრეგირებული მონაცემების სახით, საცნობარო მუხლებში.

4. პირობითი ინსტრუმენტის ვალდებულებად აღიარების შემთხვევაში, ოპერაცია აღრიცხვაში აისახება როგორც ხარჯი დებეტში და ვალდებულების ზრდა კრედიტში, ხოლო აქტივად აღიარების შემთხვევაში, შემოსავალი კრედიტში და აქტივების ზრდა დებეტში.

## თავი III

## ფინანსური აქტივები

**მუხლი 12. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები**

1. ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ საააღრიცხვო სისტემაში, ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს, ფინანსურ მოთხოვნებს და აქტივებზე/საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნებს.

2. ფინანსური აქტივებია:

ა) ფულადი სახსრები;

ბ)ფინანსური აქტივების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მოთხოვნის სახელშეკრულებო უფლება;

გ) ფინანსური ინსტრუმენტის სხვა სუბიექტთან მომგებიანად გაცვლის სახელშეკრულებო უფლება;

დ) სხვა სუბიექტის წილობრივი ინსტრუმენტი.

3. ფინანსური ინსტრუმენტია ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი ერთეულის ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე ერთეულის ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

4. წილობრივი ინსტრუმენტია ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს ერთეულის აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას;

5. სახელშეკრულებო უფლება, რომელიც არ ითვალისწინებს ფინანსური აქტივების მიღებას, არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს.

6. მოთხოვნა წარმოადგენს აქტივს, თუ ის როგორც ღირებულების დაგროვების საშუალება, უზრუნველყოფს მისი მფლობელისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

7. მოთხოვნის წარმოქმნისას, დებიტორს (აქტივის მეორე მხარეს), იმავდროულად, მოცემული აქტივის ღირებულების ტოლი ვალდებულება წარმოექმნება.

8. ფინანსური აქტივების ზრდის ოპერაციებია ფინანსური აქტივების წარმოქმნა, ხოლო შემცირების

ოპერაციებია – ფინანსური აქტივების გასვლა.

9. როდესაც ერთი და იმავე სახის ინსტრუმენტი წარმოადგენს როგორც აქტივს, ასევე ვალდებულებას, აქტივებით ოპერაციები წარმოდგენილი უნდა იყოს ვალდებულებებით განხორციელებული ოპერაციებისაგან განცალკევებით.

10. სახელმწიფო ერთეულის მიერ ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების ურთიერთჩათვლა და შედეგად ანგარიშგებაში წმინდა თანხის ასახვა შესაძლებელია:

ა) თუ სახელმწიფო ერთეული მოქმედი კანონმდებლობით უფლებამოსილია განახორციელოს აღიარებული თანხების ჩათვლა;

ბ) თუ გადაწყვეტილია ნეტო-საფუძველზე ანგარიშსწორება ან ერთდროულად აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

11. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ერთეული წარმოადგენს სხვა ერთეულის აგენტს, მის საბანკო ანგარიშებზე და ხაზინის ანგარიშებზე სახელმწიფო ერთეულის სახელით დეპონირებული ფულადი სახსრები აღიარდება ფინანსურ აქტივად, ასევე აღიარდება ვალდებულებად.

**მუხლი 13. ფინანსური აქტივების და მოთხოვნების კლასიფიკაცია და ანგარიშთა გეგმა**

1. ფინანსური აქტივების და მოთხოვნების ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციას და წინამდებარე ინსტრუქციით კლასიფიცირებულია მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ აქტივებად და მოთხოვნებად და აისახება ბუღალტრულ ანგარიშებზე:

2. ბუღალტრულ ანგარიშებზე 1100 – 1500 აღირიცხება „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების“ საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად განსაზღვრული ფინანსური აქტივები, რომლებიც ანგარიშგების მიზნებისთვის, ამ ინსტრუქციით კლასიფიცირდება მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ აქტივებად და მოთხოვნებად.

3. ანგარიში – „ფულადი სახსრები“ (1100-1200) – მოიცავს: ნაღდ ფულს სალაროში ეროვნულ ვალუტაში (1110), ნაღდ ფულს სალაროში უცხოურ ვალუტაში (1120), მიმდინარე ანგარიშს ბანკში (1210), სხვა ანგარიშებს ბანკში (1220), „მიმდინარე ანგარიშს არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში“ (1230), ანგარიშს მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის (1240), ანგარიშს საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის (1250), დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1260), დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში (1270), ხაზინის სავალუტო ანგარიშს (1280) და სხვა ანგარიშებს ხაზინაში (1290).

4. ანგარიშზე – „ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში“ (1110) – აღირიცხება სალაროში არსებული ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში.

5. ანგარიშზე – „ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში“ (1120) – აღირიცხება სალაროში არსებული ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

6. ანგარიშზე – „მიმდინარე ანგარიში ბანკში “ (1210) – მოიცავს: „მიმდინარე ანგარიშს ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ (1211) და „მიმდინარე ანგარიშს ბანკში უცხოურ ვალუტაში (1212).

7. ანგარიშზე – „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ (1211) – აღირიცხება ორგანიზაციის არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობასთან და საბიუჯეტო დაფინანსებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები ბანკში, ეროვნულ ვალუტაში.

8. ანგარიშზე – „მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში“ (1212) – აღირიცხება ორგანიზაციის არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობასთან და საბიუჯეტო დაფინანსებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები ბანკში, უცხოურ ვალუტაში.

9. ანგარიშზე – „სხვა ანგარიშები ბანკში“ (1220) – აღირიცხება საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრები კომერციულ ბანკში.

10. ანგარიშზე – „მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში“ (1230) – აღირიცხება ორგანიზაციის არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები ხაზინაში, ეროვნულ ვალუტაში.

11. ანგარიშზე – „ანგარიში მიზნობრივი გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსებისათვის“ (1240) – აღირიცხება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული მიზნობრივ გრანტები/ მიზნობრივი დაფინანსება.

12. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრები ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“ (1250) – აღირიცხება ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების დასაფინანსებლად მიღებული ფულადი სახსრები ხაზინაში.

13. ანგარიშზე – „დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1260) – აღირიცხება ხაზინის ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში.

14. ანგარიშზე – „დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში“ (1270) – აღირიცხება ხაზინის ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში.

15. ანგარიშზე – „ხაზინის სავალუტო ანგარიში“ (1280) – აღირიცხება ხაზინის ანგარიშებზე განთავსებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრები უცხოურ ვალუტაში.

16. ანგარიში – „სხვა ანგარიშები ხაზინაში“ (1290) – მოიცავს: გადასახადების სახაზინო ანგარიშს (1291) და სხვადასხვა ანგარიშებს ხაზინაში(1292).

17. ანგარიშზე – „გადასახადების სახაზინო ანგარიშს“ (1291) – აღირიცხება სახელმწიფოს მიერ საგადასახდო

შემოსავლებიდან მიღებული თანხები.

18. ანგარიშზე – „სხვადასხვა ანგარიშები ხაზინაში“ (1292) – აღირიცხება ხაზინაში გახსნილ ანგარიშებზე განთავსებული ნებისმიერი სხვა სახსრები, რომელთა აღრიცხვა არ არის გათვალისწინებული ხაზინაში გახსნილი ანგარიშების ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში.

19. ანგარიში – „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები“ (1300) – მოიცავს: ფასიან ქაღალდების, გარდა აქციებისა (1310), მოკლევადიან სესხებს (1320), აქციებს და სხვა კაპიტალს (1330), წარმოებული ფინანსურ ინსტრუმენტებს (1340), სხვა მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს (1350), საგადასახადო აქტივებს (1360) და სხვა დანარჩენ მოკლევადიან ფინანსურ აქტივებს (1370).

20. ანგარიშზე – „ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა“ (1310) – აღირიცხება აქციების გარდა ყველა სხვა სახის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდი.

21. ანგარიში – „მოკლევადიანი სესხები“ (1320) – მოიცავს : მოკლევადიან საბიუჯეტო სესხებს (1321) და მოკლევადიან სესხებს არასაბიუჯეტო სახსრებით (1322).

22. ანგარიშზე – „მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხები“ (1321) – აღირიცხება ბიუჯეტიდან ორგანიზაციის ასიგნებების ფარგლებში გაცემული მოკლევადიანი სესხები, რომელთა გაცემა და კონტროლი ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად.

23. ანგარიშზე – „მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით“ (1322) – აღირიცხება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული, მოკლევადიანი სესხის სახით გაცემული არასაბიუჯეტო სახსრები.

24. ანგარიშზე – „აქციები და სხვა კაპიტალი“ (1330) – აღირიცხება სახელმწიფო ერთეულების მფლობელობაში არსებული მოკლევადიანი აქციები და სხვა კაპიტალი.

25. ანგარიშზე – „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები“ (1340) – აღირიცხება ისეთი მოკლევადიანი ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოქმნილია სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზაზე (ფორვარდული ტიპის კონტრაქტები, სვოპის ჩათვლით და ოფციონური კონტრაქტები).

26. ანგარიში – „სხვა მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები“ (1350) – მოიცავს: საბიუჯეტო სესხებზე დარიცხულ პროცენტებს (1351), არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხულ პროცენტებს (1352), დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხულ პროცენტებს (1353), მოთხოვნებს დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით (1354), მოთხოვნებს ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით (1355) და მოთხოვნებს ფულადი სახსრების დანაკლისებით (1356).

27. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები“ (1351) – აღირიცხება საბიუჯეტო სესხებიდან მისაღები პროცენტები.

28. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები“ (1352) – აღირიცხება სესხებიდან (გარდა საბიუჯეტო სესხებისა) მისაღები პროცენტები.

29. ანგარიშზე – „დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები“ (1353) – აღირიცხება დეპოზიტებიდან, აქციებიდან, გარდა ფასიანი ქაღალდებისა, პროცენტიანი ობლიგაციებიდან და დებიტორული დავალიანებებიდან მისაღები პროცენტები.

30. ანგარიშზე – „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ (1354) – აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ ჯარიმებთან, სანქციებთან და საურავებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

31. ანგარიშზე – „მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ (1355) – აღირიცხება მოკლევადიანი მოთხოვნები ფულად სახსრებზე, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების მიწოდების ან მომსახურების გაწევის შედეგად.

32. ანგარიშზე – „მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით“ (1356 ) – აღირიცხება მოთხოვნები ორგანიზაციის მომუშავეთა ან სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთა ბრალეულობით ან სხვა მიზეზებით გამოწვეული ფულადი სახსრების დანაკლისის თანხებზე.

33. ანგარიში – „საგადასახადო აქტივები“ (1360) მოიცავს: საშემოსავლო გადასახადს (1361), მოგების გადასახადს (1362), ქონების გადასახადს (1363), დამატებული ღირებულების გადასახადს (1364), აქციზის გადასახადს (1365), იმპორტის გადასახადს (1366) და სხვა გადასახადებს (1367).

34. ანგარიშზე – „საშემოსავლო გადასახადი“ (1361) – აღირიცხება საშემოსავლო გადასახადით წარმოქმნილი საგადასახადო აქტივი.

35. ანგარიშზე – „მოგების გადასახადი“ (1362) – აღირიცხება მოგების მიმდინარე გადასახადები, რომლებიც გაიანგარიშება გასული წლის მონაცემების საფუძველზე და გადაიხდება საანგარიშგებო წლის განმავლობაში.

36. ანგარიშზე – „ქონების გადასახადი“ (1363) – აღირიცხება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული გადახდილი ქონების გადასახადი.

37. ანგარიშზე – „დამატებული ღირებულების გადასახადი“ (1364) – აღირიცხება საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების შეძენისას გადახდილი დღგ-ის თანხა.

38. ანგარიშზე – „აქციზის გადასახადი“ (1365) – აღირიცხება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გადახდილი აქციზი.

39. ანგარიშზე – „იმპორტის გადასახადი“ (1366) – აღირიცხება საქონლის ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთისას წარმოქმნილი გადახდილი გადასახადი.

40. ანგარიშზე – „სხვა გადასახადები“ (1367) – აღირიცხება გადასახადები, რომლებიც განსხვავდება ზემოთ

მოცემული გადასახადებისაგან. ასევე აღირიცხება ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადები, გაუქმებული გადასახადების საგადასახადო დავალიანებები და ისეთი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, რომელთა საგადასახადო ბაზის იდენტიფიცირება შეუძლებელია და ასევე, გადასახადის გადაუხდელობაზე ან დაგვიანებით გადახდაზე დარიცხული ის ჯარიმები, სანქციები, საურავები და პროცენტები, რომელთა მიკუთვნება კონკრეტული სახეობის გადასახადზე შეუძლებელია.

41. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები“ (1370) – აღირიცხება სხვადასხვა სახის ფინანსური აქტივები, რომელთა ასახვა არ არის გათვალისწინებული მოკლევადიანი ფინანსური აქტივების ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების შესაბამის ანგარიშებზე.

42. ანგარიში – „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები“ (1400) – მოიცავს: მოთხოვნებს ბარტერით (1410), მოთხოვნებს სადაზღვევო კომპანიების მიმართ (1420), მოთხოვნებს წინასწარი გადახდებით (1430), მოთხოვნებს არაფინანსური აქტივების დანაკლისებით (1440), ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნებს (1450), მომუშავეების მიმართ მოთხოვნებს (1460), მოთხოვნებს წინასწარ გადახდილი გადასახდელებით (1470) და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს (1480).

43. ანგარიშზე – „მოთხოვნები ბარტერით“ (1410) – აღირიცხება აქტივების ბარტერით მიწოდების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნები.

44. ანგარიშზე – „მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ“ (1420) – აღირიცხება სადაზღვევო მოვლენების დადგომით წარმოქმნილი მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ.

45. ანგარიში – „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ (1430) - მოიცავს: მოთხოვნებს საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით (1431) და მოთხოვნებს არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით (1432).

46. ანგარიშზე – „მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ (1431) – აღირიცხება მოთხოვნები თანხაზე, რომლებიც წარმოქმნილია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლიდან და არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით შეძენილი მატერიალურ მარაგებზე გაწეული წინასწარ გადახდებით.

47. ანგარიშზე – „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით “ (1432) – აღირიცხება მოთხოვნები, რომლებიც წარმოქმნილია არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის (გარდა სხვა მატერიალური მარაგებისა) მუხლიდან ავანსად გაცემული სახსრებით.

48. ანგარიშზე – „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ (1440) – აღირიცხება მოთხოვნები ორგანიზაციის მომუშავეთა ან სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ბრალეულობით ან სხვა მიზეზებით გამოწვეული არაფინანსური აქტივების დანაკლისის თანხებზე.

49. ანგარიში – „ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები“ (1450) მოიცავს: ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნებს ავანსად გაცემული თანხებით (1451), მოთხოვნებს მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით (1452), მოთხოვნებს გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ანგარშვალდებულ პირზე გადაცემით (1453) და ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნებს (1454).

50. ანგარიშზე – „ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით“ (1451) – აღირიცხება ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები, რომელიც წარმოიქმნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ოპერაციის მოხდენამდე წინასწარ გაცემული სახსრებით.

51.ანგარიშზე – „მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით“ (1452) – აღირიცხება ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების, ასევე გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების გადაცემით წარმოქმნილი მოთხოვნები.

52. ანგარიშზე – „მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ანგარშვალდებულ პირზე გადაცემით“ (1453) – აღირიცხება ანგარიშვალდებული პირების მიმართ გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების (გარდა გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) გადაცემით წარმოქმნილი მოთხოვნები.

53. ანგარიშზე – „ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები“ (1454) – აღირიცხება ანგარიშვალდებული პირების მიმართ წარმოქმნილი სხვა მოთხოვნები, რომლებიც არ უკავშირდება ანგარიშვალდებული პირებისათვის ავანსად გაცემულ თანხებს, მოკლევადიანი და გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემას.

54. ანგარიში – „მომუშავეების მიმართ მოთხოვნები“ (1460) მოიცავს: მოთხოვნებს მივლინებით ქვეყნის შიგნით (1461), მოთხოვნებს მივლინებით ქვეყნის გარეთ (1462) და მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს (1463).

55. ანგარიშზე – „მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ (1461) – აღირიცხება მომუშავეების ქვეყნის შიგნით მივლინებებთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები.

56. ანგარიშზე – „მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ“ (1462) – აღირიცხება მომუშავეების ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები.

57. ანგარიშზე – „მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები“ (1463) – აღირიცხება მომუშავეების მიმართ ყველა სხვა მოკლევადიანი მოთხოვნა, რომელიც არ აისახება მომუშავეების მიმართ მოკლევადიანი მოთხოვნების შესაბამის ანგარიშებზე.

58. ანგარიშზე – „მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით“ (1470) – აღირიცხება წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა არაფინანსური აქტივებით სარგებლობისათვის და სხვა გადასახდელებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

59. ანგარიში – „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები“ (1480) მოიცავს: მოთხოვნებს მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით (1481) და მოთხოვნებს გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით (1482) და სხვა დანარჩენ მოკლევადიან მოთხოვნებს (1483).

60. ანგარიშზე – „მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით (1481) –აღირიცხება მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების, ასევე გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების გადაცემით წარმოქმნილი მოთხოვნები.

61. ანგარიშზე – „მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით (1482) –აღირიცხება გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების (გარდა გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) გადაცემით წარმოქმნილი მოთხოვნები.

62. ამ მუხლის მე-60 და 61-ე პუნქტებში მითითებული ანგარიშები გამოიყენება მომწოდებლის მიერ ორგანიზაციის საჭიროებისათვის მომსახურების გაწევის/აქტივების შექმნის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მომწოდებელზე ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული აქტივების გადაცემის შემთხვევაში.

63. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები“ (1483) – აღირიცხება სხვადასხვა სახის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, რომელთა ასახვა გათვალისწინებული არ არის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების შესაბამის ანგარიშებზე, ასევე, ადრე განხორციელებულ ოპერაციებში შეტანილი ცვლილებებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

64. ანგარიში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები“ (1500) მოიცავს: გრძელვადიან სესხებს (1510), აქციებს და სხვა კაპიტალს (1520), სხვა გრძელვადიან ფინანსურ აქტივებს (1530) და სხვა გრძელვადიან მოთხოვნებს (1540).

65. ანგარიში – „გრძელვადიანი სესხები“ (1510) მოიცავს: გრძელვადიან საბიუჯეტო სესხებს (1511) და გრძელვადიან სესხებს არასაბიუჯეტო სახსრებით (1512).

66. ანგარიშზე – „გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები“ (1511) – აღირიცხება საბიუჯეტო სესხების გაცემით წარმოქმნილი გრძელვადიანი ფინანსური აქტივები.

67. ანგარიშზე – „გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით“ (1512) – აღირიცხება არასაბიუჯეტო სახსრებით სესხების გაცემის შემთხვევაში წარმოქმნილი გრძელვადიანი ფინანსური აქტივები.

68. ანგარიშზე – „აქციები და სხვა კაპიტალი“ (1520) – აღირიცხება სახელმწიფო ერთეულების მფლობელობაში არსებული გრძელვადიანი აქციები და სხვა კაპიტალი.

69. ანგარიშზე – „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“ (1530) – აღირიცხება სესხების გარდა სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები.

70. ანგარიშზე – „სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები“ (1540) – აღირიცხება მოთხოვნათა კატეგორიები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელს აღემატება.

**მუხლი 14. ფინანსური აქტივებით და მოთხოვნებით ოპერაციათა კლასიფიკაცია**

1. ფინანსური აქტივების ზრდის ოპერაციებია ფინანსური აქტივების წარმოქმნა, ხოლო შემცირების ოპერაციებია – ფინანსური აქტივების გასვლა.ფინანსური აქტივების ზრდა/შემცირება აისახება ფინანსური აქტივების შესაბამისი ანგარიშების დებეტში/კრედიტში, სხვა ანგარიშების კრედიტთან/დებეტთან კორესპონდენციით.

2. ფინანსური აქტივის კონკრეტული კატეგორიის ოპერაციათა შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც მთლიანი მიღება და მთლიანი გასვლა.

3. როდესაც ერთი და იმავე სახის ფინანსური ინსტრუმენტი წარმოადგენს როგორც აქტივს, ასევე ვალდებულებას, აქტივებით ოპერაციები წარმოდგენილი უნდა იყოს ვალდებულებებით განხორციელებული ოპერაციებისაგან განცალკევებით.

4. ოპერაციები, რომლებიც ცვლიან ფინანსური აქტივის კატეგორიას, არ ერთიანდებიან იმ ოპერაციებთან, რომლებიც განაპირობებენ ამავე კატეგორიის ვალდებულებათა ცვლილებას.

5. დეპოზიტებსა და სესხებზე მისაღები პროცენტები კლასიფიცირდება, შესაბამისად, როგორც ფინანსური აქტივები და მოთხოვნები.

6. ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება აღირიცხება ფინანსური აქტივების შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და გრანტების (6300) ან სხვა შემოსავლების (6400) ანგარიშების კრედიტში.

7. ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა აისახება სუბსიდიების (7500), გრანტების (7600) ან სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების (7822) ანგარიშის დებეტსა და ფინანსური აქტივების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

8. ოპერაციები ოქროთი და სამახსოვრო მონეტებით, რომლებიც არ მონაწილეობენ ბრუნვაში როგორც გადახდის კანონიერი საშუალებები, განიხილება როგორც არაფინანსური აქტივებით ოპერაციები და არა როგორც ფინანსური აქტივებით ოპერაციები.

9. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ სესხის გაცემა აისახება საბიუჯეტო სესხების/სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით (1321/1322/1511/1512) შესაბამისი ანგარიშების დებეტში ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით.

10. რძელვადიანი სესხი მცირდება მიმდინარე წელს მისაღები თანხებით და აღირიცხება მოკლევადიანი სესხების (1320) ანგარიშების დებეტში გრძელვადიანი სესხების (1510) შესაბამისი ანგარიშების კრედიტთან

კორესპონდენციით.

11. სესხის გაცემის წელს საბიუჯეტო სესხის დაფარვა აისახება ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების დებეტში და სესხების (1320/1511) ანგარიშების კრედიტში.

12. საბიუჯეტო სესხის მომდევნო წლებში დაფარვის შემთხვევაში, ორგანიზაციის ანგარიშზე დაბრუნებული სესხის თანხა აისახება ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და სესხების (1320/1511) ანგარიშის კრედიტში. ამასთან, ბიუჯეტის წინაშე სესხის თანხებით ვალდებულების წარმოქმნის ოპერაცია აისახება წმინდა ღირებულების (5100) ანგარიშის დებეტში, ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულები საკასო შესრულებით (3245) ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით, ხოლო ვალდებულების შემცირება – ფულადი სახსრების (1100-1200) ან ფინანსური აქტივების (1320/1511) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების ანგარიშის დებეტში.

13. მოთხოვნის წარმოშობა აქტივების რეალიზაციის შედეგად, რომელიც არ წარმოადგენს ორგანიზაციის საკუთრებას, აისახება მოთხოვნის შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებების საკასო შესრულებით (3245) ანგარიშის კრედიტში, ხოლო დაფარვა აისახება 3245 ანგარიშის დებეტსა და მოთხოვნის შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.

14. მოთხოვნების დარიცხვა სადაზღვევო კომპანიების მიმართ ხდება მაშინ, როდესაც აღნიშნული მოთხოვნის წარმომქმნელ სადაზღვევო შემთხვევას აქვს ადგილი და სადაზღვევო კომპანიების მიერ არის აღიარებული.

15. სხვა მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების წარმოშობა აისახება 1350 ანგარიშის დებეტში და სხვა შემოსავლების (6000) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში, ხოლო დაფარვა აისახება ფულადი სახსრების (1100-1200) ანგარიშების დებეტსა და სხვა დებიტორული დავალიანებების ანგარიშების კრედიტში.

16. მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების წარმოშობისას დებეტდება 1355/1410 შესაბამისი ანგარიშები და კრედიტდება სხვა შემოსავლების ან არაფინანსური აქტივების (გარდა სხვა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) შესაბამისი ანგარიშები. მოთხოვნების დაფარვა აისახება ფულადი სახსრების (1100-1200), სხვა ფინანსური აქტივების (1310-1340) ან არაფინანსური აქტივების (1600/2000) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და 1355/1410 ანგარიშების კრედიტში.

17. დღგ-ის გადამხდელი ორგანიზაციისათვის, არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის ნაწილში საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შეძენის ღირებულება, აღირიცხება აქტივების ან სამუშაოების (მომსახურების) შესაბამისი ანგარიშების დებეტში (გადახდილი დღგ-ის გამოკლებით) და 1364 ანგარიშის დებეტში (გადახდილი დღგ-ის თანხით), ფულადი სახსრების (1100-1200) ან სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების (3200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით. გადასახდელი დღგ-ისა და გადახდილი დღგ-ის თანხების ერთმანეთთან შედარება აისახება 3242 ანგარიშის დებეტსა და 1364 ანგარიშის კრედიტში. გადასახდელი დღგ-ის მეტობის შემთხვევაში, სხვაობის თანხები მიიმართება ბიუჯეტში და აისახება 3242 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში, ხოლო გადახდილი დღგ-ის მეტობის შემთხვევაში წარმოიშობა საგადასახადო აქტივი.

18. ორგანიზაციისათვის, რომელიც არ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს, შეძენილ აქტივებზე, ნედლეულსა და მასალებზე, პროდუქციასა და საქონელზე, სხვა აქტივებსა და მომსახურებაზე გადახდილი დღგ ცალკე არ გამოიყოფა და შედის შეძენილი საქონლისა და მომსახურების ღირებულებაში.

19. მოგების მიმდინარე გადასახადების თანხების აღრიცხვა აისახება 1362 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში. წლის ბოლოს გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშის დებეტსა და 3241 ანგარიშის კრედიტში. ამასთან, გადახდილი და გადასახდელი მოგების გადასახადის თანხების შედარების შედეგი აისახება 3241 ანგარიშის დებეტსა და 1362 ანგარიშის კრედიტში. გადასახდელი მოგების გადასახადის მეტობის შემთხვევაში სხვაობის თანხები ჩაირიცხება ბიუჯეტში და აისახება 3241 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში, ხოლო წინასწარ გადახდილი მოგების მიმდინარე გადასახადების მეტობის შემთხვევაში, წარმოიშობა საგადასახადო აქტივი.

20. დანაკლისით წარმოქმნილი მოთხოვნები აღირიცხება 1356/1440 შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. თუ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არ იქნა გამოვლენილი დანაკლისზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, მცირე მოცულობის დანაკლისი (მხოლოდ მატერიალურ მარაგებზე) ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ჩამოიწერება ხარჯებში, როგორც მიზნობრივად გახარჯული, ხარჯების შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და 1440 ანგარიშის კრედიტში. დანაკლისზე მოკვლეული მასალების შესაბამის ორგანოებზე გადაცემის შემთხვევაში, დანაკლისის თანხები ზუსტდება სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დანაკლისი დაეწერება დამნაშავე პირს, დანაკლისი აღიარდება 1370/1454 ანგარიშის დებეტსა და 1356/1440 ანგარიშების კრედიტში. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დამნაშავეს არ დაეკისრება დანაკლისის დაფარვა, 1356/1440 ანგარიშებზე არსებული თანხები ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, ჩამოიწერება როგორც არასაოპერაციო ხარჯები.

21. ფინანსური აქტივების წარმოქმნა აისახება 1370/1520/1530/1540 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების ან შემოსავლების (6000) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში, ხოლო დაფარვა აისახება 1370/1520/1530/1540 ანგარიშის კრედიტში და ფულადი სახსრების შესაბამისი ანგარიშების დებეტში. იმ შემთხვევაში, თუ ფულადი სახსრების გენერირება არ ხდება, ოპერაციები ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება

ხარჯების (7000) ან აქტივების შესაბამისი ანგარიშის დებეტში, 1370/1520/1530/1540 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით.

22. ანგარიშვალდებული პირისათვის ავანსად გადაცემული თანხებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება 1451 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. მოკლევადიანი მოთხოვნების დაფარვა აისახება არაფინანსური აქტივების/ხარჯების შესაბამისი ანგარიშის დებეტში 1451 ანგარიშის კრედიტთან კორესპოდენციით.

23. ანგარიშვალდებული პირისთვის გადაცემული მოკლევადიანი არაფინანსური აქტივებით და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებით წარმოქმნილი მოთხოვნები აისახება 1452 ანგარიშის დებეტსა და აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. აქტივების გამოყენება ბუღალტრულად აისახება ხარჯების შესაბამისი ანგარიშის დებეტში 1452 ანგარიშთან კორესპოდენციით. ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქტივების გამოყენება შესაძლებელია ასევე აისახოს მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების/გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და 1452 ანგარიშის კრედიტში და ხარჯების შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.

24. ანგარიშვალდებული პირისთვის გადაცემული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივებით (გარდა გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების) წარმოქმნილი მოთხოვნები აისახება 1453 ანგარიშის დებეტსა და გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია აისახოს გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების (გარდა გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების) შესაბამისი ანგარიშის დებეტში 1453 ანგარიშთან კორესპოდენციით.

25. ანგარიშვალდებული პირის მიმართ სხვა მოთხოვნების წარმოქმნა აისახება 1454 ანგარიშის დებეტსა და შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.

26. საგადასახადო აქტივის წარმოშობა ზედმეტად ან შეცდომით გადასახადების გადახდისას აისახება 1367 ანგარიშის დებეტსა და ხარჯების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხით.

27. ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი საშემოსავლო გადასახადი აისახება მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების (1463) ანგარიშის დებეტსა და ხარჯების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში და 1361 ანგარიშის დებეტსა და მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების 1463 ანგარიშის კრედიტში.

28. მივლინებული პირების მიმართ მოკლევადიანი მოთხოვნების წარმოშობა მივლინების თანხების ავანსად გაცემის შემთხვევაში აღირიცხება მოთხოვნები მივლინებით (1461/1462) შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში. მოთხოვნის დაფარვა აისახება 1461/1462 ანგარიშების კრედიტში, მივლინების (7220) ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით. მივლინების ფაქტობრივ ხარჯებზე ავანსად გაცემული თანხების მეტობის შემთხვევაში, მოთხოვნის დაფარვა აღირიცხება ფულადი სახსრების (1100-1200) ანგარიშების დებეტში და 1461/1462 ანგარიშების კრედიტში – სხვაობის თანხით. ავანსად გაცემულ თანხებზე მივლინების ფაქტობრივი ხარჯების მეტობის შემთხვევაში, სხვაობის თანხით ხდება ვალდებულების აღიარება.

29. მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების წარმოშობა აღირიცხება 1463 ანგარიშის დებეტში და ხარჯების (7000) შესაბამისი ანგარიშის კრედიტში, ხოლო მოთხოვნების დაფარვა აისახება ფინანსური აქტივების (1000) ან ვალდებულების (3200) შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და 1463 ანგარიშის კრედიტში.

30. წინასწარ გადახდილი სხვა გადასახდელებით მოკლევადიანი მოთხოვნების წარმოშობა აღირიცხება 1470 ანგარიშის დებეტში და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში, ხოლო მოთხოვნების დაფარვა აისახება 1470 შესაბამისი ანგარიშის კრედიტში და ფინანსური აქტივების (1000), არაფინანსური აქტივების (2000) ან ხარჯების (7000) შესაბამისი ანგარიშების დებეტში.

31. მოკლევადიანი არაფინანსური აქტივებით და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების გადაცემით წარმოქმნილი მოთხოვნები აისახება სხვა მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით 1481 ანგარიშის დებეტსა და აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. აქტივების გამოყენება ბუღალტრულად აისახება ხარჯების შესაბამისი ანგარიშის დებეტში, 1481 ანგარიშთან კორესპოდენციით. ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქტივების გამოყენება შესაძლებელია ასევე აისახოს მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების/გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და 1481 ანგარიშის კრედიტში და ხარჯების შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.

32. სხვა მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების (გარდა გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) გადაცემით აისახება 1482 ანგარიშის დებეტსა და აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. აქტივის დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში (ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით) შესაძლებელია აისახოს აქტივების შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და 1482 ანგარიშის კრედიტში.

33. სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების წარმოშობა აღირიცხება 1483 შესაბამისი ანგარიშის დებეტში და ხარჯების (7000) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში, ხოლო მოთხოვნების შემცირება აისახება არაფინანსური აქტივების (1600-2000) ან ხარჯების (7000) შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და 1483 ანგარიშის კრედიტში.

34. დებიტორის გაკოტრების შემთხვევაში ან დებიტორული დავალიანებების თანხები, რომლებზედაც მიების ხანდაზმულობის ვადა გასულია, რომელთა ამოღებაზეც სასამართლომ უარი განაცხადა ან რომელთა

ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, ჩამოიწერება ხელმძღვანელის ბრძანებით და აისახება არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე (8200). ამავე დროს, უიმედო დებიტორული დავალიანების თანხები (გარდა სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოწერილი დებიტორული დავალიანებებისა) აღირიცხება საცნობარო მუხლში – გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება – 03. ვალის ღირებულების ნაწილის ცალმხრივი ჩამოწერა იგივენაირად განიხილება, მაგრამ ვალი შემცირებული თანხის ოდენობით ბალანსზე რჩება.

35. იმ შემთხვევაში, თუკი ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება შემდგომ პერიოდებში მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურდება, მოხდება დებიტორული დავალიანების აღდგენა. წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების აღდგენა აისახება სხვა ფინანსური აქტივების და სხვა მოთხოვნების (1300, 1400, 1500) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და არასაოპერაციო შემოსავლების (8100) ანგარიშის კრედიტში.

36. დებიტორული დავალიანების პატიება აღრიცხვაში აისახება როგორც კაპიტალური გრანტის ხარჯი ან როგორც სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები. ვალის პატიების შედეგს წარმოადგენს ფინანსური აქტივების შემცირება და კაპიტალის ღირებულების შემცირება. იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერაციის მეორე მხარეს წარმოადგენს უცხო ქვეყნის მთავრობა/საერთაშორისო ორგანიზაცია ან რომელიმე ერთეული, სახელმწიფო ერთეულის შემადგენლობიდან, მაშინ ასეთი ოპერაცია განიხილება როგორც ხარჯი კაპიტალური გრანტის სახით. თუ ოპერაციის მეორე მხარეს წარმოადგენს სხვა ნებისმიერი ტიპის ერთეული, მაშინ ეს ოპერაცია აღირიცხება როგორც სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები.

**მუხლი 15. აღრიცხვაში ასახვის დრო**

1. ოპერაციები ფინანსური აქტივებით აისახება მაშინ, როდესაც აქტივზე საკუთრების უფლება იცვლება, აქტივი წარმოიშობა ან განიცდის ლიკვიდაციას, ან როდესაც ინსტრუმენტის თანხობრივი ოდენობა იზრდება ან კლებულობს. აღნიშნული მომენტი დგება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ხელმოწერილია ან კრედიტორი დებიტორს უხდის თანხას ან გადასცემს სხვა რომელიმე ფინანსურ აქტივს.

2. დეპოზიტური თანხები აღრიცხვაში აისახება ანგარიშებზე თანხების განთავსების მომენტში და აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივის (ფულადი სახსრების), ასევე ფინანსური ვალდებულების (ვალდებულებები დეპოზიტებით) სახით.

3. იმ შემთხვევაში, როცა ოპერაცია ფინანსური აქტივებით/ფინანსური ვალდებულებებით მოიცავს არაფინანსური აქტივის გადაცემას, აქტივის/ვალდებულების წარმოქმნა აღრიცხვაში აისახება არაფინანსური აქტივის გადაცემის მომენტში.

**მუხლი 16. ღირებულებითი შეფასება**

1. ფინანსური აქტივების მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მათი გაცვლის ღირებულება.

2. ფინანსური აქტივების და მოთხოვნების ღირებულება კრედიტორის მიერ დებიტორისათვის ავანსად გაცემული ფინანსური და არაფინანსური აქტივების ღირებულებით განისაზღვრება.

3. ოპერაციათა განხორციელებისას გაწეული მომსახურების საფასური მოსაკრებლები, საკომისიოები და მსგავსი გადახდები და ამ ოპერაციებზე გადასახდელი ნებისმიერი გადასახადი გამოირიცხება ფინანსური აქტივების და მოთხოვნების ოპერაციებისგან და განიხილება როგორც ხარჯვითი ოპერაციები.

4. თუ ფინანსური აქტივებით ოპერაციები მოიცავს მომსახურებისთვის დარიცხულ არაპირდაპირ მოსაკრებლებს და შეუძლებელია ასეთი მომსახურების ელემენტის შეფასება, ოპერაციის მთლიანი ღირებულება განიხილება როგორც ოპერაცია ფინანსური აქტივებით.

5. ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ცალსახად მონეტარული ფორმითაა დენომინირებული (ფულადი სახსრები და დეპოზიტები), არ გააჩნიათ გაზომვის ფიზიკური ერთეულები, რომლებთანაც შესაძლებელი იქნებოდა ფასების დაკავშირება, რაოდენობრივი გაზომვის შესაბამისი ერთეული თვითონ ფულადი ერთეულია, რის გამოც ერთი ერთეულის ფასი ყოველთვის ერთის ტოლია.

6. დეპოზიტის ღირებულებას ეროვნულ ვალუტაში, მისი ნომინალური ღირებულება წარმოადგენს (თანხა, რომელიც დეპოზიტის ლიკვიდაციისას, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დებიტორმა უნდა გადაუხადოს კრედიტორს).

7. ფინანსური იჯარის შედეგად წარმოქმნილი ფარული სესხის საწყის ღირებულებას წარმოადგენს იჯარით გაცემული არაფინანსური აქტივის ღირებულება.

8. საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ღირებულებას წარმოადგენს მიწოდებული საქონლის ან მომსახურების ღირებულება.

## თავი IV

## არაფინანსური აქტივები

**მუხლი 17. არაფინანსური აქტივები და მათი ასახვის დრო**

1. არაფინანსური აქტივები შეიძლება შეიქმნას წარმოების პროცესის შედეგად, იყოს ბუნებრივად წარმოქმნილი ან წარმოადგენდეს საზოგადოებრივი მოწყობის საგანს და ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის, კლასიფიცირდება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

2. არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით აღირიცხება ყველა ოპერაცია, რომელსაც გავლენა აქვს არაფინანსურ აქტივებზე და მისი ღირებულების/მოცულობის/შემადგენლობის ცვლილება შეუძლია:
ა) შესყიდვა, ბარტერი, ნატურით ან ტრანსფერით მიღება;
ბ) წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის ან გასაყიდად/გასასხვისებლად;
გ) არსებითი გაუმჯობესება;
დ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
ე) გასვლა ოპერაციების საშუალებით.
3. ყველა ოპერაციას, რომელიც ზრდის ერთეულის აქტივებს, ეწოდება მიღება, ხოლო ყველა ოპერაციას, რომელიც ამცირებს ერთეულის აქტივებს, გარდა ძირითადი კაპიტალის მოხმარებისა, ეწოდება გასვლა.
4. არსებული არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის აღრიცხვაში ასახვის დრო დგება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან დათმობა.
5. არაფინანსური აქტივის მიღების აღრიცხვაში ასახვის დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნა ეს აქტივი მიღებული:
ა) თუ აქტივი მწარმოებელი ერთეულისგან არის მიღებული როგორც მზა პროდუქცია, მაშინ ასახვის მომენტი განისაზღვრება ისევე, როგორც არსებული აქტივის შესყიდვისას;
ბ) როდესაც სხვა ერთეული ახორციელებს აქტივების მშენებლობას წინასწარშეთანხმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად და მშენებლობა გრძელდება ერთ სააღრიცხვო პერიოდზე მეტი დროის განმავლობაში, საკუთრების უფლების გადაცემა ხდება სამუშაო პროცესის მიხედვით. თუ ხელშეკრულება არ აკონკრეტებს საკუთრების უფლების გადაცემის დროს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეტაპობრივად ან შესრულებული სამუშაოს შესაბამისად განხორციელებული მიმდინარე გადახდების დრო;
გ) საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის პირობებში, საკუთრების უფლებათა გადაცემა ოფიციალურად არ ხდება. მწარმოებელი ერთეული საკუთრებას ითვისებს თანდათანობით, წარმოების პროცესის მიხედვით ისე, რომ აქტივის მიღება ხდება წარმოების პროცესში ჩართული თითოეული ოპერაციის ასახვისას.
6. ფინანსური იჯარით მიღებული ან გასული არაფინანსური აქტივები მიღებულად ან გასულად ჩაითვლება და აღრიცხვაში აისახება მაშინ, როდესაც იჯარის ხელშეკრულება ხელმოწერილია და ხელშეკრულების პირობები შესრულებულია ან აქტივზე კონტროლი სხვა მფლობელზე სხვაგვარადაა გადაცემული.

**მუხლი 18. არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა**

1. არაფინანსური აქტივების სპეციალურ სათავსოებში შენახვის შემთხვევაში, სათავსოში უნდა იყოს დაცული არაფინანსური აქტივების მოვლა-შენახვის და ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ ვადებში ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარებისთვის შესაბამისი პირობები.
2. სათავსოში არაფინანსური აქტივების შემოსვლისას, მატერიალურად პასუხისმგებელი პირი მომწოდებლის საბუთზე ან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ადასტურებს არაფინანსური აქტივების მიღებას.
3. აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად, ძირითად აქტივებს, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებსა და ფასეულობებს მიღებისას მიენიჭებათ საინვენტარო ნომრები, რომლებიც რჩებათ მოცემულ აქტივებს ორგანიზაციაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. თითოეული საინვენტარო ნომრის მიხედვით იხსნება საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით (ნორმატიული) დადგენილი საინვენტარო ბარათი, სადაც მიეთითება ბარათით განსაზღვრული რეკვიზიტები(მათი არსებობის შემთხვევაში). გარდა ამისა, ჩაიწერება ობიექტის (საგნის) მოკლე ინდივიდუალური დახასიათება. იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი აქტივების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და ფასეულობების შემადგენლობაში შედის ძვირფასი ლითონები, დამატებით მიეთითება იმ დეტალების ჩამონათვალი, რომელთა შემადგენლობაშიც არის ძვირფასი ლითონები, ასევე, დეტალების დასახელება და პასპორტში ნაჩვენები ლითონის მასა. ორგანიზაციის შიგნით აქტივების გადაადგილებისას კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
4. მატერიალური მარაგების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ბარათებზე, მატერიალური მარაგების თითოეული ჯგუფის (კატეგორიის) მიხედვით, დასახელების, ხარისხის, რაოდენობის, ფასის, მიღების თარიღისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მითითებით.
5. არაფინანსური აქტივების მიღება და გასვლა ფორმდება შესაბამისი დოკუმენტებით, რომლებსაც ხელს აწერენ მიღებასა და გაცემაზე უფლებამოსილი პირები.
6. არაფინანსური აქტივების მიღებაზე, შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, კანონმდებლობის მიხედვით გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ ძირითადი აქტივების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და ფასეულობების საინვენტარო სიებს.
7. პასუხისმგებელი პირების შეცვლისას ტარდება მათ პასუხისმგებლობაში არსებული აქტივების ინვენტარიზაცია, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც მტკიცდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.
8. მატერიალური ფორმით ბუღალტერიის წარმოებისას, არაფინანსური აქტივების მოძრაობა აისახება კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ფორმებში, ხოლო ელექტრონული სისტემების (კომპიუტერ(ებ)ის) მეშვეობით ბუღალტერიის წარმოებისას – შესაბამის ელექტრონულ ფორმებში.

9. ბუღალტერია პასუხისმგებელია აღრიცხვასა და ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების მიღებისა და გასვლის ქრონოლოგიურ და თავისდროულ ასახვაზე.

### მუხლი 19. მატერიალური მარაგების კლასიფიკაცია და ანგარიშთა გეგმა

1. ანგარიშზე „მატერიალური მარაგები“ (1600) აღირიცხება „არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის“ და „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ შესაბამისად განსაზღვრული მატერიალური მარაგები, რომლებიც, ამ ინსტრუქციით, მოკლევადიან არაფინანსურ აქტივებად კლასიფიცირდება.

2. „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ შესაბამისად, ამ ინსტრუქციით მატერიალურ მარაგებად განსაზღვრული არაფინანსური აქტივები ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის აღირიცხება შემდეგ ანგარიშებზე:

ა) „ფულადი დოკუმენტები“ (1625) – ორგანიზაციის განკარგულებაში არსებული ფულადი დოკუმენტები. მათ შორის, მკაცრი აღრიცხვის ბლანკები (პირადობის მოწმობის ბლანკები, ანგარიშ-ფაქტურები და სხვა), ტალონები საწვავზე, ზეთზე, კვებაზე; საფოსტო მარკები; აქციზური მარკები და სხვა;

ბ) „სათადარიგო ნაწილები“ (1626) – მარაგები (მიუხედავად მათი ღირებულებისა), რომლებიც განკუთვნილია მანქანების (სამედიცინო, ელექტროგამომთვლელი და სხვ), მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების (ძრავები, საბურავები და სხვა) გაცვეთილი ნაწილების რემონტისათვის და მათ შესაცვლელად. ძვირადღირებული (500 ლარი და მეტი ღირებულების) დამხმარე ნაწილები, რომელთა გამოყენებას ორგანიზაცია აპირებს ერთ წელზე მეტი ვადით და მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი აქტივის რომელიმე კონკრეტულ ობიექტთან ერთად და გამოიყენება არარეგულარულად, აღიარდება და აღირიცხება ძირითად აქტივად და აქტივებად აღიარების საფუძველია, ამ აქტივების საშუალებით ორგანიზაციის მიერ მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება სხვა აქტივებიდან, რაც შეიძლება არ მომხდარიყო ამ აქტივების გარეშე;

გ) „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“ (1627) – სამეურნეო მასალები, საკანცელარიო ნივთები, საწვავი სამეურნეო საჭიროებისთვის, საწვავი და ზეთი მანქანა-დანადგარებისთვის, კვების პროდუქტები და სხვადასხვა მატერიალური მარაგები, რომლებიც არ აღირიცხება სხვა მატერიალური მარაგების (1620) შესაბამის ანგარიშებზე.

### მუხლი 20. მატერიალური მარაგების მიღება და გასვლა

1. მატერიალური მარაგების შეძენა აისახება მატერიალური მარაგების შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და, მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით (1431), მოთხოვნები ბარტერით (1410), საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების (3210) ან სხვა შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

2. მატერიალური მარაგების უსასყიდლოდ მიღება ბუღალტრულად აღირიცხება მატერიალური მარაგების შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და გრანტების (6300), ნებაყოფლობითი ტრანსფერების, გარდა გრანტებისა (6440) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

3. დაუმთავრებელი წარმოების არსებობის პირობებში, ნედლეულისა და მასალების, სხვა საქონლისა და მომსახურების, სამუშაო ძალისა და სხვა გამოყენებული რესურსების ღირებულების ასახვის მიზნით, ოპერაციათა აღრიცხვა ხორციელდება განუწყვეტლივ, წარმოების პროცესის თანმიმდევრულად. ტექნოლოგიური პროცესების დასრულებამდე ან მომსახურების საბოლოო სახის მიღებამდე შუალედური პროდუქტი აღირიცხება 1622 ანგარიშის დებეტსა და ნედლეულისა და მასალების (1621) და შესაბამისი კრედიტორული დავალიანებების ანგარიშის კრედიტში. ამასთან, შესრულებული სამუშაოების შესაბამისად იზრდება დაუმთავრებელი წარმოების ანგარიში. წარმოების დასრულების მომენტისთვის მზა პროდუქციის მიღების ოპერაცია აისახება მზა პროდუქციის (1623) ანგარიშის დებეტსა და დაუმთავრებელი წარმოების/მომსახურების (1622) ანგარიშის კრედიტში.

4. მატერიალური მარაგების მიღება ჩამოწერილი ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად, აღირიცხება მატერიალური მარაგების შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების (6450) ანგარიშის კრედიტში.

5. სტრატეგიული მარაგების სახით შეძენილი საქონლის გასვლა აისახება როგორც ძირითადი აქტივების გასვლა და აღირიცხება მოთხოვნები ბარტერით (1410) ან მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით (1355) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და 1610 ანგარიშის კრედიტში.

6. სხვა მატერიალური მარაგების გასვლა აღირიცხება მოთხოვნები ბარტერით (1410) ან მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით (1355) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და შემოსავლების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში და რეალიზებული მარაგების თვითღირებულებით აისახება საქონლისა და მომსახურების (7200) ანგარიშის დებეტსა და სხვა მატერიალური მარაგების (1620) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

7. მატერიალური მარაგების უსასყიდლოდ გადაცემა აისახება სუბსიდიების (7500), გრანტების (7600), სოციალური უზრუნველყოფის (7700) და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების (7821) ანგარიშების დებეტსა და მატერიალური მარაგების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

8. მატერიალური მარაგების საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენება აისახება საქონლისა და მომსახურების

(7200) ანგარიშის დებეტსა და მატერიალური მარაგების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში – ექსპლუატაციაში გადაცემის დროს, ხოლო ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, საჭიროების შემთხვევაში (თუ ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულია შიდა აღრიცხვის წესებით), აისახება საცნობარო მუხლში.

9. ფიზიკური გაუარესებით, ბუნებრივი შემთხვევითი დაზიანებითა თუ სხვა მიზეზებით, მატერიალური მარაგების მცირე მოცულობით ნორმის ზევით დანაკარგები განიხილება როგორც მატერიალური მარაგების გასვლა და, ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, ხარჯებში აისახება იმ შემთხვევაში, თუ მატერიალური მარაგების გაფუჭების, დაზიანების ან სხვა სახით დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია.

**მუხლი 21. მატერიალური მარაგების ღირებულებითი შეფასება**

1. მატერიალური მარაგების მიღება აისახება ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს.

2. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, ყველა გადასახდელს დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სატრანსპორტო, დამზადების ხარჯებს და ყველა იმ დანახარჯს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მატერიალური მარაგების შეძენასთან.

3. შენახვის ხარჯები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

4. დაუმთავრებელი წარმოების ამოღების ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება წარმოების ღირებულების შესაბამისად, სადაც ყველა გამოყენებული რესურსი შეფასებულია საბალანსო ღირებულებით.

5. თუ მატერიალური მარაგების ცალკეულ ოპერაციათა შეფასება შეუძლებელია, მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისას ორგანიზაცია იყენებს მატერიალური მარაგების შეფასების მეთოდებიდან ერთ-ერთს:

ა) ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების მიხედვით შეფასების მეთოდი;

ბ) ფიფო (FIFO) მეთოდი – პირველი შემოსული პირველი გადის;

გ) საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

**მუხლი 22. ძირითადი აქტივების კლასიფიკაცია და ანგარიშთა გეგმა**

1. ძირითადი აქტივი წარმოადგენს წარმოებულ აქტივს, რომლის გამოყენება წარმოებისა და მომსახურების პროცესში ხდება ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ, ღირებულება 500 ლარი და მეტია და აკმაყოფილებს აქტივად აღიარებისათვის ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საგნები, რომლებსაც ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლი გააჩნია, მაგრამ არ არის განკუთვნილი მრავალჯერადი გამოყენებისათვის, არ შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ძირითადი აქტივები.

2. ძირითადი აქტივების ბუღალტრული ანგარიშები განსაზღვრულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის, დამატებით გამოყენებულია ანგარიში „სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები“ (2140), რომელიც მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი“ (2141) – აღირიცხება ის აქტივები, რომელთა მშენებლობა ან სხვა ფორმით შექმნა დაწყებულია და ჯერ არ დასრულებულა ან ორგანიზაციას საკუთრების უფლება არ აქვს მოპოვებული; „საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება (2142) – აღირიცხება საოპერაციო იჯარის არსებით გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები.

4. ამ ინსტრუქციით ძირითადი აქტივები კლასიფიცირდება გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებად.

**მუხლი 23. ძირითადი აქტივებით განხორციელებული ოპერაციების კლასიფიკაცია**

1. ძირითადი აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებს წარმოადგენს: შეძენა, გაყიდვა, უსასყიდლოდ მიღება, უსასყიდლოდ გადაცემა, საკუთარი სახსრებით ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოება და ძირითადი კაპიტალის მოხმარება. ამასთან, ძირითადი აქტივების შეძენა, უსასყიდლოდ მიღება და საკუთარი სახსრებით ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოება, განიხილება როგორც მიღების ოპერაციები, ხოლო გაყიდვა და უსასყიდლოდ გადაცემა – როგორც ძირითადი აქტივების გასვლის ოპერაციები

2. ძირითადი აქტივების შეძენა აღირიცხება ძირითადი აქტივების (2100) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების (3220), ვალდებულებები ბარტერით (3230), მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით (1432), ბარტერით მიწოდების (1410) ან მოთხოვნების სხვა შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

3. ბარტერით მიღებული ძირითადი აქტივის ღირებულების, გასული ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მეტობის შემთხვევაში, თუ მიმღებ ორგანიზაციას ნამეტ თანხაზე არ წარმოექმნება ვალდებულება, აქტივის ღირებულება ნამეტი თანხით მიმღები ორგანიზაციის მიერ აღიარდება სასაქონლო ფორმით მიღებულ შემოსავლად კაპიტალური გრანტის ან სხვა შემოსავლის სახით.

4. არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფიზიკურად ფუნქციონირებენ როგორც არსებული აქტივის ნაწილები, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

5. ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე შეკეთებისათვის გამოყენებული საქონელი და მომსახურება წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯებს და არ აისახება ძირითადი აქტივების

შემადგენლობაში.

6. ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ მიღება აისახება ძირითადი აქტივების (2100) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და გრანტების (6300) ან სხვა შემოსავლების (6400) ანგარიშების კრედიტში.

7. ძირითადი აქტივების მიღება (მშენებლობა, სხვა ფორმით შექმნა და სხვ.) ნაწილობრივი გადახდების შესაბამისად (საკუთრების უფლების მოპოვებამდე) ან კაპიტალის საკუთარი სახსრებით შექმნით (დასრულებამდე) აისახება დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის სახით. ეტაპობრივად ან შესრულებული სამუშაოს შესაბამისად გადასახდელი მიმდინარე გადახდების ოდენობა აღირიცხება დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის (2141) ანგარიშის დებეტსა და არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების (3220) ანგარიშის კრედიტში, ხოლო დასრულება – ძირითადი აქტივების (2100) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და 2141 ანგარიშის კრედიტში.

8. საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნასთან დაკავშირებით განხორციელებული თითოეული ოპერაცია (რომელიც სხვა შემთხვევაში განიხილება როგორც მომუშავეთა კომპენსაცია, საქონელი და მომსახურება ან ძირითადი კაპიტალის მოხმარება) აისახება როგორც აქტივის მიღების ოპერაცია.

9. იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობის მშენებლობა ხორციელდება საოჯახო მეურნეობათა ჯგუფების მიერ კოლექტიური მოხმარების მიზნით და მათი დასრულების შემდეგ, ასეთი ნაგებობის საკუთრების უფლება გადაეცემა სახელმწიფო ერთეულს, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს მათ მოვლა-შენახვაზე, აქტივის სახით ნაგებობის მიღება სასაქონლო ფორმით კაპიტალური ტრანსფერის მიღებასთან ერთად, აისახება შენობა-ნაგებობების (2110) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და ნებაყოფლობითი ტრანსფერების, გარდა გრანტებისა (6440) ანგარიშის კრედიტში.

10. ძირითადი აქტივების გაყიდვა:

ა) საბალანსო ღირებულებით აღირიცხება ფინანსური აქტივების და მოთხოვნების (1100-1500) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და ძირითადი აქტივების (2100) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში;

ბ) საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის შემთხვევაში, ნამეტი/შემცირებული თანხა აისახება საოპერაციო შემოსავლების/საოპერაციო ხარჯების სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების(6450)/სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების (7821) შესაბამისი ანგარიშის კრედიტში/დებეტში ფინანსური აქტივების და მოთხოვნების (1100-1500)/ ძირითადი აქტივების (2100) შესაბამისი ანგარიშების დებეტთან/კრედიტთან კორესპონდენციით.

11. ძირითადი აქტივების გაყიდვის შედეგად ბიუჯეტთან ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, გადასახდელი თანხა აისახება ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით (3245) შესაბამისი ანგარიშის კრედიტში და წმინდა ღირებულების (5100) ანგარიშის დებეტში, ხოლო ბიუჯეტში გადარიცხვისას – 3245 ანგარიშის დებეტში და აქტივების (ფულადი სახსრების ან მოთხოვნების) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

12. ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა აისახება გრანტების (7600) ან სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების (7822) ანგარიშის დებეტსა და ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

13. ძირითადი აქტივების ჩამოწერა ნარჩენი ღირებულებით აღირიცხება აქტივების არასაოპერაციო ხარჯების (8200) ანგარიშის დებეტსა და ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.

14. ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს შიდა ოპერაციას, რომელიც ასახავს ძირითადი აქტივებისა და სხვა განსაზღვრული არაფინანსური აქტივების ღირებულების კლებას და აისახება თითოეული საანგარიშო წლის ბოლო სამუშაო დღეს ან განსაზღვრული მომენტისათვის – საჭიროების შემთხვევაში.

15.ფინანსური ლიზინგით შეძენილი ძირითადი აქტივები აღირიცხება როგორც მომხმარებლის ან მოიჯარის მიერ შეძენილი და მფლობელობაში არსებული აქტივები (და არა მისი კანონიერი მფლობელის ან მეიჯარის მიერ). შეძენა აღირიცხება როგორც სესხის სახით კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულების ხარჯზე შეძენილი აქტივები და მოიჯარის ბალანსში აისახება ძირითადი აქტივების (2100) ანგარიშების დებეტსა და ვალდებულებები სესხებით (3310/3130) შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.

16. ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის შემთხვევაში ძირითადი აქტივები რჩება მეიჯარის ბალანსზე, ხოლო მოიჯარის მიერ გადასახდელი საიჯარო გადასახდელები და მათზე გაწეული ხარჯები აისახება საქონლისა და მომსახურების (7200) ანგარიშის დებეტსა და საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების (3210) ანგარიშის კრედიტში, ხოლო არსებით გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები კაპიტალიზდება და აისახება 2142 ანგარიშის დებეტში, როგორც ორგანიზაციის ძირითადი აქტივი და 3220 ანგარიშის კრედიტში. ამასთან, ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარით აღებული ძირითადი აქტივები აისახება საცნობარო მუხლში – საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები – 01.

**მუხლი 24. ძირითადი აქტივების ღირებულების თავდაპირველი შეფასება და ექსპლუატაციის პერიოდში გაწეული დანახარჯები**

1. ძირითადი აქტივების მიღება აისახება ღირებულებით, რომელიც მოიცავს: შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟის და დადგმის დანახარჯებს, აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ დანახარჯებს, აგრეთვე უკან დაუბრუნებად გადასახადებს, მოსაკრებლებს, სხვა გადასახდელებს და საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯს.

2. აქტივის შეძენასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯებია:

ა) აქტივისათვის ადგილმდებარეობის მომზადების ხარჯი;

ბ) აქტივის ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები;
გ) მონტაჟის და დემონტაჟის ხარჯი.
3. საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯებია:
ა) შემფასებლების, ინჟინრების, არქიტექტორების, იურისტებისა და უძრავი ქონების გაყიდვის აგენტების მომსახურების ანაზღაურება;
ბ) გადასახდელები, რომლებიც გადაიხდება საკუთრების უფლების გადაცემისას;
დ) აქტივების საპროექტო სამუშაოების ღირებულება, გარდა ტიპური დაპროექტების დანახარჯებისა, რომლის პროპორციულად გადანაწილებაც შეუძლებელია (აღნიშნული განიხილება არამატერიალურ ძირითად აქტივებად, თუ ის აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს).
4. ყველა იმ მოწყობილობის, დანადგარის, აპარატისა და ხელსაწყოს ღირებულება, რომლებიც ძირითადი აქტივების განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს, ემატება ამ აქტივების ღირებულებას.
5. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები ხარჯები არ მიეკუთვნება ძირითადი აქტივების ღირებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის შეძენასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.
6. მანქანა-დანადგარების გამოცდასთან დაკავშირებული ხარჯები არ მიეკუთვნება მათ ღირებულებას, თუკი ეს არ არის აუცილებელი აქტივის სამუშაო მზადყოფნაში მოყვანისათვის.
7. ძირითადი აქტივების გეგმური გამომუშავების მისაღწევად გაწეული თავდაპირველი საექსპლუატაციო გასავლები არ მიეკუთვნება აქტივების ღირებულებას და აღირიცხება ხარჯების სახით.
8. აქტივის შეძენასთან, წარმოებასა ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯების ხარჯების სახით აღიარება სახელმწიფო ერთეულების მიერ ხდება მათი გაწევისთანავე.
9. ორგანიზაციების მიერ აქტივის შეძენასთან, წარმოებასა ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯების კაპიტალიზაცია შესაძლებელია სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში. კაპიტალიზაცია აქტივის ღირებულების ნაწილის სახით იწყება მაშინ, როდესაც:
ა) აქტივზე გაწეულია პირველადი დანახარჯები;
ბ) გაწეულია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული პირველადი დანახარჯები;
გ) დაწყებულია მოცემული აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად პირველადი სამუშაოები.
10. ორგანიზაციის მიერ აქტივის წარმოების შემთხვევაში, ნედლეულისა და მასალების, შრომითი და სხვა რესურსების უჩვეულოდ მაღალი (ზენორმატიული) დანახარჯები არ ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას.
11. ორგანიზაციის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება განისაზღვრება შეძენილი აქტივის ანალოგიურად.
12. საძიებო სამუშაოების შედეგად მიღებული აქტივის ღირებულება არ განისაზღვრება მოძიების შედეგად ახლად აღმოჩენილი საბადოების ღირებულებით. იგი განისაზღვრება იმ რესურსების ღირებულებით, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში იქნა განთავსებული საძიებო სამუშაოებში.
13. თუ ახალი გასართობი ჟანრის, ლიტერატურული და ხელოვნების ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა საკუთარი ხარჯებით ხორციელდება და მათი გამოყენების შედეგად მომავალში მისაღები სარგებლის მიმდინარე ღირებულების დადგენა შეუძლებელია, სხვა ინფორმაციის არარსებობის პირობებში, ორიგინალის მიღება წარმოების ღირებულებით უნდა შეფასდეს.
14. ძირითადი აქტივების თავდაპირველი ღირებულებით აღიარების შემდგომ, ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რაც იწვევს აქტივების არსებით გაუმჯობესებას, აღირიცხება როგორც ძირითადი აქტივების მიღება. ამასთან, არსებითი გაუმჯობესების ცალკე აქტივად იდენტიფიცირება არ ხდება, თითოეული ასეთი გაუმჯობესების ღირებულება ემატება მოცემული აქტივის არსებულ ღირებულებას.
15. აქტივის განახლება, რეკონსტრუქცია და გაფართოება წარმოადგენს გაანალიზებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება ნებისმიერ მომენტში განხორციელდეს და არ არის ნაკარნახევი აქტივის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუმჯობესებს აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, ზრდის მოცულობას და მწარმოებლურობას ან მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების ვადას.
16. არსებით გაუნჯობესებაზე გაწეული დანახარჯები შესაძლებელია იყოს:
ა) შენობა-ნაგებობების ელემენტების მოდიფიკაცია მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით, ასევე მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით;
ბ) მანქანა-დანადგარების ნაწილების გაუმჯობესება წარმოებული პროდუქციის/ მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით;
გ) ახალი საწარმოო პროცესების დანერგვა ოპერაციული ხარჯების არსებითად შემცირების მიზნით.
17. ძირითადი აქტივების სამუშაო მდგომარეობაში შენახვის, მოვლის და მიმდინარე შეკეთებისთვის გაწეული დანახარჯები, რაც გავლენას არ ახდენს მათ საწარმოო სიმძლავრეზე, ხარისხზე, მომსახურების პოტენციალზე ან სასიცოცხლო ციკლზე, აღიარდება ხარჯებად.
18. არსებული ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვის და მიმდინარე შეკეთების დამახასიათებელი ნიშნებია:
ა) წარმოადგენენ ქმედებებს, რომელთა პერიოდული განხორციელებაც ევალებათ ძირითადი აქტივების მფლობელებს ან მომხმარებლებს, რათა შესაძლებელი იყოს ამგვარი აქტივების გამოყენება მათთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში;

ზ) არ ცვლიან ძირითად აქტივებს ან მათ საექსპლუატაციო თვისებებს, ინახავენ მუშა მდგომარეობაში, ან დაზიანების შემთხვევაში, აღადგენენ მათ საწყის მდგომარეობას.

19. აქტივების არსებითი გაუმჯობესება აღირიცხება როგორც აქტივის მიღების ოპერაცია (მიუხედავად იმისა, რომ არ ხდება ახალი აქტივის მიღება) - ძირითადი აქტივების (2100) შესაბამისი ანგარიშების დებეტში, ფულადი და სხვა ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით.

20. ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება – აღირიცხება საქონლისა და მომსახურების ანგარიშის (7200) დებეტში, ფულადი და სხვა ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით.

21. აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი აქტივი აღირიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მათი მიღების შემდეგ (მ.შ. ძირითადი კაპიტალის მოხმარება).

22. ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და შემთხვევითი დაზიანების შედეგად, ერთეულის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას, გარდა საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის შემთხვევისა, როცა ძირითადი კაპიტალის მოხმარება, კაპიტალის წარმოების პროცესში გამოყენებულ ძირითად აქტივებთან არის დაკავშირებული.

23. ძირითადი კაპიტალის მოხმარება გაიანგარიშება ყველა სახის მატერიალურ და არამატერიალურ ძირითად აქტივებთან მიმართებაში.

24. ძირითადი კაპიტალის მოხმარება ითვალისწინებს ცხოველების და მცენარეების ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეულ შემთხვევით დანაკარგებს, აგრეთვე ცხოველების და მცენარეების ხანდაზმულობის გამო მათი ღირებულების შემცირებას. ამასთან, ძირითადი კაპიტალის მოხმარება არ მოიცავს ცხოველებისა თუ მცენარეების გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რაც განპირობებულია ეპიდემიების გავრცელებით, დაბინძურებით, გვალვით, შიმშილობით თუ სხვა სახის სტიქიური უბედურებებით, ასევე, მოულოდნელი ტექნოლოგიური განვითარების შედეგად მიღებულ დანაკარგებს, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა და არაწარმოებული აქტივების, როგორიცაა მიწა და ბუნებრივი ნედლეული, გამოფიტვისა თუ ხარისხობრივი გაუარესების პერიოდი. ეს მოვლენები აღირიცხება სხვა მოვლენების სახით არასაოპერაციო ხარჯებში.

25. ძირითადი აქტივების ჩამოწერა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 25. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების კლასიფიკაცია და ანგარიშთა გეგმა**

1. ანგარიშზე „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (2200)-აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციით და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული მცირეფასიანი აქტივები.

2. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მიღების და გასვლის ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ რეგისტრებში (ასევე ასახვა საცნობარო მუხლებში) წარმოებს იმ ფორმით, როგორც მატერიალური მარაგების მიღებისა და გასვლის ოპერაციების შემთხვევაში, ხოლო ექსპლოატაციიდან გასვლის შემთხვევაში ჩამოწერა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 26. ფასეულობების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია, ანგარიშთა გეგმა და ღირებულებითი შეფასება**

1. ფასეულობა წარმოადგენს მნიშვნელოვანი ღირებულების წარმოებულ აქტივს, რომელიც ინახება როგორც ღირებულების დაგროვების საშუალება (ძირითადად, არ გამოიყენება როგორც წარმოების/მომსახურების პროცესში, ასევე მოხმარებისათვის).

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ფასეულობები, ამ ინსტრუქციით, კლასიფიცირდება გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებად და აღირიცხება შემდეგ ანგარიშებზე:

3. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ერთეულების მფლობელობაში არსებული მემკვიდრეობითი აქტივებისათვის დამახასიათებელია მათი მემკვიდრეობითი ფასეულობისაგან განსხვავებული მომსახურების პოტენციალი, ასეთი ფასეულობები განიხილება ძირითად აქტივებად და მათი აღიარება და შეფასება ძირითადი აქტივების ანალოგიურად ხდება.

4. ფასეულობების მიღება მოიცავს როგორც ამ აქტივების ღირებულებას, ასევე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯს, ხოლო გასვლის შემთხვევაში – საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები აქტივების ღირებულებაში არ აისახება და აღირიცხება როგორც საქონლისა და მომსახურების ხარჯი.

5. ფასეულობების ორგანიზებული ბაზრის არსებობის პირობებში, მათი ღირებულებითი შეფასება შეიძლება მოხდეს მიმდინარე საბაზრო ფასებით, აგენტების ყოველგვარი გასამრჯელოების ან საკომისიო გადასახდელების ჩათვლით. სხვა შემთხვევებში, ფასეულობები ფასდება იმ თანხით, რომლითაც ისინი დაზღვეულნი არიან ხანძრის, ქურდობის და სხვა რისკებისაგან.

6. ფასეულობების მიღება/გასვლა აისახება ფასეულობების შესაბამისი ანგარიშების დებეტში/კრედიტში, სხვა ანგარიშების კრედიტთან/დებეტთან კორესპონდენციით.

**მუხლი 27. არაწარმოებული აქტივები და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია, ანგარიშთა გეგმა და ღირებულებითი შეფასება**

1. არაწარმოებულ აქტივს წარმოადგენს ბუნებრივად წარმოქმნილი ან სამართლებრივი თუ ბუღალტრული ოპერაციით შექმნილი აქტივი, რომლის მიმართაც შესაძლებელია საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა. სხვა შემთხვევაში, აღნიშნული არ წარმოადგენს ეკონომიკურ აქტივს და არ განიხილება როგორც არაფინანსური აქტივი.

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული არაწარმოებული აქტივები ამ ინსტრუქციით კლასიფიცირდება გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებად და აღირიცხება შემდეგ ბუღალტრულ ანგარიშებზე:

3. არაწარმოებული აქტივების, როგორც ბუნებრივად წარმოქმნილი ან სამართლებრივი თუ ბუღალტრული ქმედებებით შექმნილი აქტივების, ეკონომიკურ აქტივებად აღიარება ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება სხვა მოვლენებად და აღირიცხება არაწარმოებული აქტივების (2400) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და აქტივების არსაოპერაციო შემოსავლების (8100) ანგარიშის კრედიტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო ერთეული იძენს არაწარმოებულ აქტივს.

4. არაწარმოებული აქტივების სააღრიცხვო სისტემაში ასახვის შემდეგ, ოპერაციები, რომლებიც მათი საკუთრების შეცვლასთანაა დაკავშირებული, აისახება ისევე, როგორც ძირითადი აქტივებით ოპერაციები.

5. არაწარმოებული აქტივების სხვა ერთეულებისაგან შეძენა აისახება არაწარმოებული აქტივების (2400) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების (3220),მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინსაწარი გადახდებით (1432), მოთხოვნები ბარტერით მიწოდების (1410) ან მოთხოვნების სხვა შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

6. არაწარმოებული აქტივების სხვა ერთეულებისგან უსასყიდლოდ მიღება აისახება არაწარმოებული აქტივების (2400) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და გრანტების (6300) ან ნებაყოფლობითი ტრანსფერების, გარდა გრანტებისა (6440) ანგარიშების კრედიტში.

7. მიწის არსებითი გაუმჯობესება განიხილება როგორც მიწის მიღება. ამასთან, მშენებლობის მიზნით ადგილის გასუფთავება და მომზადება არ კლასიფიცირდება მიწის გაუმჯობესებად.

8. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული გვირაბებისა და სხვა ნაგებობების აშენება ითვლება ნაგებობების მიღებად და არა მიწის არსებით გაუმჯობესებად. აღნიშნული აქტივი გამოიყენება იმ მიწისაგან დამოუკიდებლად, რომლის მეშვეობითაც ხდება წიაღისეულის მოპოვება.

9. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ერთეული, როგორც წიაღისეული აქტივების მესაკუთრე, აქტივებს უთმობს ან იჯარით გადასცემს მეორე ერთეულს, რაც ამ უკანასკნელს უფლებას აძლევს ნაწილობრივი გადახდების, როიალტის, განხორციელების სანაცვლოდ აწარმოოს აქტივების მოპოვება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ასეთი შეთანხმება მიწის მესაკუთრის მიერ მოიჯარისათვის, რენტის ანაზღაურების სანაცვლოდ, მიწის გამოყენების უფლების გადაცემას წარმოადგენს, ხოლო მიღებული გადახდები მიეკუთვნება ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლების ოპერაციებს და არა აქტივების გასვლას.

10. ამოწურვა/გამოფიტვა გულისხმობს წიაღისეული აქტივების, არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსების ან წყლის რესურსების ღირებულების შემცირებას მათი გარკვეული ნაწილის გამოყენების შედეგად. აღნიშნული წარმოადგენს სხვა მოვლენებს.

11. ამოწურვა/გამოფიტვა, როგორც წიაღისეული აქტივის ღირებულების შემცირება, ასევე, არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსების ან წყლის რესურსების შემცირება, აღირიცხება აქტივების არასაოპერაციო ხარჯების (8200) ანგარიშის დებეტსა და არაწარმოებული აქტივების (2400) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

12. არაწარმოებული აქტივების შეძენის ღირებულებითი შეფასება ხდება გადახდილ ფასზე აქტივების საკუთრების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი დანახარჯის დამატებით.

13. არაწარმოებული აქტივების გაყიდვის შემთხვევაში, გასვლის შეფასება ხდება გაყიდვის ფასიდან სახელმწიფო ერთეულების მიერ აქტივების გასვლისას საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი ხარჯის გამოკლებით.

14. იმ შემთხვევაში, როდესაც მიწა შეძენილია შენობებთან, სხვა ნაგებობებთან და კულტივირებულ აქტივებთან ერთად, აღნიშნული აქტივები უნდა შეფასდეს და აღირიცხოს ცალ-ცალკე.

15. შეძენის ოპერაციის დროს თუ შეუძლებელია მიწის და მასზე განლაგებული სხვა აქტივის ღირებულების გამიჯვნა, ოპერაციის კლასიფიცირება უნდა მოხდეს იმ აქტივის მიხედვით, რომელიც უფრო მაღალი ღირებულების მქონე აქტივად არის მიჩნეული.

16. მიწა არაამორტიზირებადი აქტივია, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და, შესაბამისად, არ ხდება მისი ცვეთა.

17. მიწის ღირებულების ცვლილება არ ცვლის მასზე განლაგებული შენობების მომსახურების ვადის ხანგრძლივობას.

## თავი V

## ვალდებულებები

**მუხლი 28. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები**

1. ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას ფულის ან ნებისმიერი სხვა

ფინანსური აქტივების გადახდაზე და სხვა სუბიექტთან ფინანსური ინსტრუმენტების გაცვლაზე.

2. სახელშეკრულებო უფლება, რომელიც არ ითვალისწინებს ფინანსური აქტივების გადაცემას, არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს.

3. ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს ეკონომიკური სარგებლის უზრუნველყოფის მოვალეობას იმ ერთეულებისათვის, რომლებიც შესაბამისი მოთხოვნების მფლობელები არიან.

4. ვალდებულების წარმოქმნისას მეორე მხარეს, იმავდროულად, მოცემული ვალდებულების ღირებულების ტოლი მოთხოვნა წარმოექმნება.

5. ფინანსური ვალდებულებების ზრდის ოპერაციებია ვალდებულებების წარმოქმნა, ხოლო ფინანსური ვალდებულებების შემცირების ოპერაციებია ვალდებულებების დაფარვა.

6. როდესაც ერთი და იმავე სახის ინსტრუმენტი წარმოადგენს როგორც ფინანსურ ვალდებულებას, ასევე ფინანსურ აქტივს, ფინანსური ვალდებულებით ოპერაციები წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებისაგან განცალკევებით.

7. სესხებზე გადასახდელი პროცენტები განიხილება როგორც კრედიტორული დავალიანება.

8. სახელმწიფო ერთეულის მიერ ფინანსური ვალდებულების და ფინანსური აქტივის ურთიერთჩათვლა და შედეგად ანგარიშგებაში წმინდა თანხის ასახვა შესაძლებელია:

ა) თუ სახელმწიფო ერთეული მოქმედი კანონმდებლობით უფლებამოსილია განახორციელოს აღიარებული თანხების ჩათვლა;

ბ) გადაწყვეტილია ნეტო-საფუძველზე ანგარისშწორება ან ერთდროულად აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

9. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ერთეული წარმოადგენს სხვა ერთეულის აგენტს, მის საბანკო ანგარიშებზე ან მისი სახელით ხაზინის ანგარიშებზე დეპონირებული ფულადი სახსრები, აღიარდება როგორც სახელმწიფო ერთეულის ფინანსური ვალდებულება, ასევე ფინანსური აქტივი ფულადი სახსრების სახით.

**მუხლი 29. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და ანგარიშთა გეგმა**

1. ფინანსური ვალდებულებების ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციას და ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ სააღრიცხვო სისტემაში „ფინანსური აქტივები და ვალდებულებები და მათზე ოპერაციების“ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება შემდეგ ბუღალტრულ ანგარიშებზე:

2. ბუღალტრულ ანგარიშებზე 3100 – 3200 აღირიცხება „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების“ საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად განსაზღვრული ის ვალდებულებები, რომელთა დაფარვა გათვალისწინებულია არა უგვიანეს ერთი წლისა ანგარიშგების თარიღიდან და რომლებიც ანგარიშგების მიზნებისთვის, ამ ინსტრუქციით, კლასიფიცირდება მოკლევადიან ფინანსურ ვალდებულებებად და სხვა კრედიტორულ დავალიანებებად.

3. ანგარიში – „მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები“ (3100) მოიცავს: ვალდებულებებს დეპოზიტებით (3110), ვალდებულებებს ფასიანი ქაღალდებით, გარდა აქციებისა (3120), ვალდებულებულებებს მოკლევადიანი სესხებით (3130), ვალდებულებებს აქციებით და სხვა კაპიტალით (3140) და წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს (3150).

4. ანგარიშზე – „ვალდებულებები დეპოზიტებით“ (3110) – აღირიცხება ორგანიზაციების მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია დეპოზიტების მიღებასთან. ამავე ანგარიშზე აღირიცხება წინა წლებში გამოუყენებელი სახსრების დაბრუნებიდან მიღებული თანხები, ასევე, ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული გაურკვეელი თანხები, რომლებიც დაზუსტების შემდგომ მიიმართება შესაბამისი დანიშნულებით.

5. ანგარიშზე – „ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით, გარდა აქციებისა“ (3120) – აღირიცხება ისეთი მოკლევადიანი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სახელმწიფო ერთეულების ვალდებულების არსებობას და რომელთა დაფარვა ხორციელდება ფულადი სახსრების, ფინანსური ინსტრუმენტების ან ეკონომიკური ღირებულების მქონე რომელიმე სხვა აქტივების გადაცემით.

6. ანგარიში – „ვალდებულებები მოკლევადიანი სესხებით“ (3130) მოიცავს: მოკლევადიან ვალდებულებებს საბიუჯეტო სესხებით (3131) და მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებს არასაბიუჯეტო სახსრებით (3132). აღნიშნულ ანგარიშზე აისახება სხვადასხვა სახის მოკლევადიანი სესხები და კრედიტები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციიდან რესურსების გადინებასთან. ამავე ანგარიშზე აღირიცხება გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილიც (მათ შორის, ფინანსური ლიზინგის – „ფარული სესხის“).

7. ანგარიშზე – „მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით“ (3131) – აღირიცხება საბიუჯეტო სესხებით წარმოქმნილი ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

8. ანგარიშზე – „მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით“ (3132) – აღირიცხება არასაბიუჯეტო სახსრებით წარმოქმნილი სასესხო ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

9. ანგარიშზე – „ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით“ (3140) – აღირიცხება აქციების და კაპიტალის გამოშვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

10. ანგარიშზე – „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები“ (3150) – აღირიცხება ისეთი მოკლევადიანი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოქმნილია სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზაზე (ფორვარდული ტიპის კონტრაქტები, სვოპის ჩათვლით, და ოფციონური კონტრაქტები და სხვ.).

11. ანგარიში „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“ მოიცავს: საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხულ ვალდებულებებს (3210), არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხულ ვალდებულებებს (3220), ვალდებულებებს ბარტერით (3230), საგადასახადო და ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებებს (3240), მომუშავეებთან და სტიპენდიანტებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს (3250), ვალდებულებებს დეპონენტების მიმართ (3260), სოციალური დახმარებით დარიცხულ ვალდებულებებს (3270) და სხვა მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს (3280).

12. ანგარიშზე – „საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“ (3210) – აღირიცხება საქონლის და მომსახურების მოწოდების შედეგად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

13. ანგარიშზე – „არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“ (3220) – აღირიცხება არფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების (გარდა მატერიალური მარაგებისა) კლასიფიკაციის მუხლით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

14. ანგარიშზე – „ვალდებულებები ბარტერით“ (3230) – აღირიცხება ბარტერით მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

15. ანგარიში – „საგადასახადო და ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები (3240) მოიცავს: გადასახდელ მოგების გადასახადს (3241), გადასახდელ დღგ-ის (3242), გადასახდელ საშემოსავლო გადასახადს (3243), სხვა გადასახდელებს (3244), ბიუჯეტის წინაშე დარიცხულ ვალდებულებებს საკასო შესრულებით (3245), გადასახდელ ქონების გადასახადს (3246), გადასახდელ აქციზს (3247) და გადასახდელ იმპორტის გადასახადს (3248).

16. ანგარიშზე – „გადასახდელი მოგების გადასახადი“ (3241) – აღირიცხება ორგანიზაციის მიერ არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების გადასახადი.

17. ანგარიშზე – „გადასახდელი დღგ“ (3242) – აღირიცხება არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის შედეგად საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციისათვის, ასევე საქონლის დასაბეგრ იმპორტზე გადასახდელი დღგ-ის გადასახადი.

18. ანგარიშზე – „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“ (3243) – აღირიცხება ხარჯების და აქტივებით ოპერაციების შედეგად საშემოსავლო გადასახადით წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულება.

19. ანგარიშზე – „სხვა გადასახდელები“ (3244) – აღირიცხება ბიუჯეტში გადასახდელი სხვა თანხები, რომლებიც ჩამოთვლილი არ არის ზემოაღნიშნულ ანგარიშებზე.

20. ანგარიშზე – „ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით“ (3245) – აღირიცხება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ერთეულების ფინანსური აქტივებითა და მოთხოვნებით წარმოქმნილი ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე.

21. ანგარიშზე – „გადასახდელი ქონების გადასახადი“ (3246) – აღირიცხება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახდელი ქონების გადასახადი.

22. ანგარიშზე – „გადასახდელი აქციზის გადასახადი“ (3247) – აღირიცხება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გადასახდელი აქციზი.

23. ანგარიშზე – „გადასახდელი იმპორტის გადასახადი“ (3248) – აღირიცხება გადასახადი, რომლის გადახდაც ხდება საქონლის მიერ ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთის დროს.

24. ანგარიში – „მომუშავეეთან და სტიპენდიანტებთან დაკავშირებული ვალდებულებები“ (3250) მოიცავს: შტატით მომუშავეთათვის დარიცხულ ხელფასებს (3251), შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხულ ხელფასებს (3252), ვალდებულებებს მივლინებით ქვეყნის შიგნით (3253), ვალდებულებებს მივლინებით ქვეყნის გარეთ (3254), დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეულ სოციალური დახმარებით დარიცხულ ვალდებულებებს (3255), დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეულ სოციალური დახმარებით დარიცხულ ვალდებულებებს (3256), ვალდებულებებს ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით (3257), გადასახდელ სტიპენდიებს (3258) და სოციალური დაზღვევის ანარიცხებს (3259).

25. ანგარიშზე – „შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები“ (3251) – აღირიცხება დამქირავებლის მიერ შტატით გათვალისწინებული მომუშავეებისათვის მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გასაცემი თანხები.

26. ანგარიშზე – „შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები“ (3252) – აღირიცხება დამქირავებლის მიერ შტატგარეშე მომუშავეებისათვის მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გასაცემი თანხები.

27. ანგარიშზე – „ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ (3253) – აღირიცხება მივლინებებთან დაკავშირებით ორგანიზაციის დავალიანებები საქართველოს ტერიტორიაზე მივლინებული პირების მიმართ.

28. ანგარიშზე – „ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ“ (3254) – აღირიცხება მივლინებებთან დაკავშირებით ორგანიზაციის დავალიანებები საზღვარგარეთ მივლინებული პირების მიმართ.

29. ანგარიშზე – „დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები“ (3255) – აღირიცხება მომუშავეებისათვის ფულადი ფორმით სოციალური დახმარებების გადახდაზე წარმოქმნილი ვალდებულებები.

30. ანგარიშზე – „დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები“ (3256) – აღირიცხება მომუშავეებისათვის სასაქონლო ფორმით სოციალური დახმარებების გადახდაზე წარმოქმნილი ვალდებულებები.

31. ანგარიშზე – „ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით“ (3257) – აღირიცხება მომუშავეებისათვის ხელფასის გაცემისას დაკავებული თანხები.

32. ანგარიშზე – „გადასახდელი სტიპენდიები“ (3258) – აღირიცხება სასწავლო დაწესებულებათა ვალდებულებები სტიპენდიანტების წინაშე.

33. ანგარიშზე – „სოციალური დაზღვევის ანარიცხები“ (3259) – აღირიცხება მომუშავეების სოციალური დაზღვევისათვის ანარიცხები, რომელიც გადაიხდება სადაზღვევო სქემების არსებობისას.

34. ანგარიშზე – „ვალდებულებები დეპონენტების მიმართ“ (3260) – აღირიცხება ორგანიზაციის სალაროდან დადგენილ ვადებში მომუშავეებზე და სხვა პირებზე გაუცემელი, ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე /ხაზინის ანგარიშებზე დეპონირებული ხელფასები და სხვა გადასახდელები.

35. ანგარიში – „სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები“ (3270) მოიცავს: ფულადი ფორმით გაწეულ სოციალური დახმარებით დარიცხულ ვალდებულებებს (3271) და სასაქონლო ფორმით გაწეულ სოციალური დახმარებით დარიცხულ ვალდებულებებს (3272).

[ 35. ანგარიში – „ სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები “ (3270) მოიცავს: ფულადი ფორმით გაწეულ სოციალური დახმარებით დარიცხულ ვალდებულებებს (3271), სასაქონლო ფორმით გაწეულ სოციალური დახმარებით დარიცხულ ვალდებულებებს (3272), სახელმწიფოს ვალდებულებას საპენსიო სქემაში შენატანით (3273), დამქირავებლის ვალდებულებას საპენსიო სქემაში შეტანით (3274) და მომუშავეთა ვალდებულებას საპენსიო სქემაში შენატანით (3275). *( ამოქმედდეს 2019 1 იანვრიდან)]*

36. ანგარიშზე – „ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები“ (3271) – აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის სოციალური დახმარების მუხლით განსაზღვრული ხარჯებით წარმოქნილი ვალდებულებები.

37. ანგარიშზე – „სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები“ (3272) – აღირიცხება ამ მუხლის 34-ე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები სასაქონლო ფორმით.

[ 37[1]. ანგარიშზე – „სახელმწიფოს ვალდებულება საპენსიო სქემაში შენატანით“ (3273) –აღირიცხება სახელმწიფოს მიერ საპენსიო სქემაში მონაწილის სასარგებლოდ, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შენატანი.

37[2]. ანგარიშზე – „დამქირავებლის ვალდებულება საპენსიო სქემაში შენატანით“ (3274) –აღირიცხება დამსაქმებელის მიერ საპენსიო სქემაში დასაქმებულის სასარგებლოდ, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შენატანი.

37[3]. ანგარიშზე – „მომუშავეთა ვალდებულება საპენსიო სქემაში შენატანით“ (3275) – აღირიცხება დამსაქმებელის მიერ საპენსიო სქემაში მონაწილე დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შენატანი. *(ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან)]*

38. ანგარიში – „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (3280) მოიცავს: წინასწარ მიღებულ საიჯარო ქირას (3281), წინასწარ მიღებულ სხვა შემოსავლებს (3282), დარიცხულ გადასახდელ რენტას (3283), დარიცხულ გადასახდელ პროცენტებს (3284), გადასახდელ დივიდენდებს (3285) და სხვა დარიცხულ მოკლევადიან ვალდებულებებს (3286).

39. ანგარიშზე – „წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა“ (3281) – აღირიცხება მომავალი პერიოდის შემოსავლების სახით მიღებული საიჯარო ქირა.

40. ანგარიშზე – „წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები“ (3282) – აღირიცხება საიჯარო ქირის გარდა, მომავალი პერიოდის სხვა შემოსავლების სახით მიღებული ავანსები.

41. ანგარიშზე – „დარიცხული გადასახდელი რენტა“ (3283) – აღირიცხება მიწის, წიაღისეული აქტივების და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი (არაწარმოებული) აქტივების იჯარის შედეგად გადასახდელი რენტა.

42. ანგარიშზე – „დარიცხული გადასახდელი პროცენტები“ (3284) – აღირიცხება მიღებულ სესხებზე დარიცხული გადასახდელი პროცენტები.

43. ანგარიშზე – „გადასახდელი დივიდენდები“ (3285) – აღირიცხება მოგების განაწილების ვალდებულება კაპიტალში ინვესტირებული წილის პროპორციულად.

44. ანგარიშზე – „სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები“ (3286) – აღირიცხება დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელთა ასახვა გათვალისწინებული არ არის სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების სხვა ანგარიშებზე.

45. ანგარიშზე – „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები” აისახება „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების“ საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად განსაზღვრული ვალდებულებები, რომელთა დაფარვა მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

46. ანგარიში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები” (3300) მოიცავს: გრძელვადიან ვალდებულებებს სესხებით (3310), სხვა გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებს (3320) და გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (3330).

47. ანგარიში „გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით“ (3310) მოიცავს: გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით (3311) და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით (3312). აღნიშნულ ანგარიშზე აისახება სხვადასხვა სახის გრძელვადიანი სესხები და კრედიტები, რომელთა დაფარვით მოსალოდნელია ორგანიზაციიდან ფულადი რესურსების გადინება. ამავე ანგარიშზე აისახება ფინანსური

ლიზინგის პირობით მოიჯარის მიერ აქტივის იჯარით აღების შედეგად წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულება.

48. ანგარიშზე „გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით“ (3311) – აღირიცხება საბიუჯეტო სესხებით წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულებები.

49. ანგარიშზე – „გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით“ (3312) – აღირიცხება არასაბიუჯეტო სახსრებით წარმოქმნილი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.

50. ანგარიშზე – „სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები“ (3320) – აღირიცხება სესხების გარდა სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები.

51. ანგარიში – „გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (3330) მოიცავს: საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხულ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (3331), არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხულ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (3332) და სხვა გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (3333).

52. ანგარიშზე – „საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (3331)– აღირიცხება საქონლის და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები.

53. ანგარიშზე – „არაფიანანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (3332)– აღირიცხება არფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის მუხლით (გარდა მატერიალური მარაგებისა) წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები.

54. ანგარიშზე – „სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (3333) – აღირიცხება გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები, რომელთა ასახვა გათვალისწინებული არ არის გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების სხვა ანგარიშებზე.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №460 - ვებგვერდი , 24.12.2018 წ.*

**მუხლი 30. ფინანსური ვალდებულებებით და სხვა კრედიტორული დავალიანებებით ოპერაციათა კლასიფიკაცია**

1. ფინანსური ვალდებულებების და სხვა კრედიტორული დავალიანებების წარმოქმნა/დაფარვა აისახება ფინანსური ვალდებულებების/სხვა კრედიტორული დავალიანებების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში/დებეტში სხვა ანგარიშების დებეტთან/კრედიტთან კორესპონდენციით.

2. ფინანსური ვალდებულების დაფარვა აისახება დებიტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ან კრედიტორის მიერ მოთხოვნის ანულირების შემთხვევაში.

3. დეპოზიტური თანხების დეპოზიტორისათვის დაბრუნების შემთხვევაში, დეპოზიტებით წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა აისახება დეპოზიტების სახით რიცხული ფინანსური ვალდებულების ანგარიშის დებეტში და აქტივების ანგარიშის კრედიტში.

4. დეპოზიტური თანხების ბიუჯეტში ჩარიცხვის შემთხვევაში, დეპოზიტების სახით წარმოქმნილი ვალდებულება რეკლასიფიცირდება ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებად, ხოლო თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვის შემთხვევაში, ვალდებულების დაფარვა აისახება ვალდებულების ანგარიშის დებეტში და დეპოზიტების სახით რიცხული ფინანსური აქტივების ანგარიშის კრედიტში.

5. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ სესხის აღება აისახება ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების დებეტში, ვალდებულებები სესხებით (3130/3310) ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით, ხოლო დაფარვა – ვალდებულებები სესხებით (3130/3310) ანგარიშის დებეტში, ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით.

6. ფინანსური იჯარის (ლიზინგით) გზით აქტივის მიღებისას, ადგილი აქვს მეიჯარედან მოიჯარეზე საკუთრების უფლების გადაცემას, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად იჯარით გადაცემული აქტივი მეიჯარის საკუთრებად რჩება. საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადადის მოიჯარეზე და განიხილება როგორც მოიჯარის მიერ ვალდებულების აღება – სესხის არაპირდაპირი გზით ფორმირება და აღრიცხვაში აისახება სესხის აღების ოპერაციების სახით.

7. კორპორაციების მიერ გამოშვებული აქციები და სხვა კაპიტალი, ემიტენტი ერთეულის ვალდებულებებად განიხილება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ მფლობელებს მოცემული კორპორაციის მიმართ არ გააჩნიათ ფიქსირებული ან წინასწარ დადგენილი ფულადი მოთხოვნები.

8. მოწოდებიდან და მომსახურებიდან ვალდებულებების წარმოშობისას დებეტდება ხარჯების ან არაფინანსური და ფინანსური აქტივების შესაბამისი ანგარიშები და კრედიტდება 3210/3220 ანგარიში. ვალდებულებების დაფარვის მონეტარული ოპერაცია აისახება 3210/3220 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

9. მიმდინარე წლის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული და დარიცხული მოგების გადასახადი აღირიცხება საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის (5210) ანგარიშის დებეტსა და 3241 ანგარიშის კრედიტში. ამავდროულად, დებეტდება 3241 ანგარიში, 1362 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით. გადასახდელი მოგების გადასახადის მეტობის შემთხვევაში, სხვაობის თანხები ჩაირიცხება ბიუჯეტში და ბუღალტრული ოპერაცია აისახება 3241 ანგარიშის დებეტში და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში, ხოლო წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადების მეტობის შემთხვევაში, წარმოიშობა საგასახადო აქტივი.

10. დღგ-ის გადამხდელი ორგანიზაციისათვის, არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის ნაწილში რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები აისახება სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების (1300) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და გაყიდული საქონლისა და მომსახურებისა შესაბამისი ანგარიშის (დღგ-ის გამოკლებით) და გადასახდელი დღგ-ის (3242) (დღგ-ის თანხით) ანგარიშების კრედიტში. გადასახდელი დღგ-ისა და გადახდილი დღგ-ის თანხების ერთმანეთთან შედარება აისახება 3242 ანგარიშის დებეტსა და 1364 ანგარიშის კრედიტში. გადასახდელი დღგ-ის მეტობის შემთხვევაში, სხვაობის თანხები მიიმართება ბიუჯეტში და ოპერაცია აისახება 3242 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში, ხოლო გადახდილი დღგ-ის მეტობის შემთხვევაში წარმოიშობა საგადასახადო აქტივი.

11. ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების წარმოშობა კანონმდებლობით დადგენილი ყველა სახის გადასახადის (გარდა 3241, 3242, 3243 , 3247, 3248 ანგარიშებზე აღრიცხული გადასახადებისა), ჯარიმების, მოსაკრებლების, საკომისიოების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების თანხებით, აღირიცხება სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების (7821) ანგარიშის დებეტსა და 3244/3246 ანგარიშის კრედიტში, ხოლო გადახდა, 3244/3246 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

12. წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებით, შემოსავლებით და სხვა თანხების მიღებით ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების წარმოქმნა აღირიცხება 3245 ანგარიშის კრედიტში და წმინდა ღირებულების (5100) ანგარიშის დებეტში, ხოლო ვალდებულების დაფარვა – 3245 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) ან აქტივების (1300-1400) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

13. ხელფასის დარიცხვა და გაცემა აისახება დარიცხვის და გაცემის შესაბამისი თვის ბუღალტრულ ანგარიშგებაში.

14. ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს: ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

15. გადასახდელი ხელფასების, სტიპენდიების და მივლინებებთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობისას დებეტდება ხარჯების შესაბამისი ანგარიშები და კრედიტდება 3251, 3252, 3253/3254, 3258 ანგარიშები. ვალდებულებების დაფარვა აისახება 3251, 3252, 3253/3254, 3258 ანგარიშების დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200), აქტივების (ვალდებულებების არამონეტარული ოპერაციით დაფარვის შემთხვევაში) ან არასაოპერაციო შემოსავლების (8100) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში (ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით კრედიტორული დავალიანების ჩამოწერის შემთხვევაში).

16. საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა წარმოებს ანაზღაურების გაცემის მომენტში, გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის (3243) ანგარიშის კრედიტში და „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ (3200) შესაბამისი ანგარიშის დებეტში. ბიუჯეტში გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი აისახება 3243 ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

17. სოციალური დახმარებებით ვალდებულებების წარმოქმნა აისახება სოციალური დახმარების (7720) ან დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების (7730) ანგარიშის დებეტსა და ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებების (3271/3272) ან დამქირავებლის მიერ ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებების (3255/3256) კრედიტთან კორესპონდენციით.

18. დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებების დარიცხვა წარმოებს საავადმყოფო ფურცლების (შრომისუუნარობის ფურცლების) საფუძველზე, რომლებიც გაიცემა დადგენილი წესით. საავადმყოფო ფურცლები იკერება ცალკე საქაღალდეში და ინომრება ქრონოლოგიური წესით წლის დასაწყისიდან. ყოველ ფურცელზე ისმება იმ უწყისის ნომერი, რომლითაც მოხდა დარიცხვა.

19. ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურეებთან შვებულებაში წასვლის ან გათავისუფლებისას, წარმოებს შესაბამისი გაანგარიშებით. იმ შემთხვევაში, როცა მომუშავის შვებულებაში წასვლასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ანგარიშსწორებანი ხელფასით არ ემთხვევა საერთო ანგარიშსწორების პერიოდს, მაშინ ანგარიშსწორებათაშორის პერიოდში გაცემა წარმოებს საგადასახდელო უწყისით. ამ გაანგარიშებათა მიხედვით დარიცხული და გაცემული თანხები ჩაირთვება მიმდინარე თვის საანგარიშსწორებო უწყისებში.

20. ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხები აღირიცხება 3251, 3252 ან 3258 ანგარიშის დებეტში და 3257 ანგარიშის კრედიტში, ხოლო გადარიცხვისას – დებეტდება 3257 ანგარიში და კრედიტდება ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშები.

21. დეპონენტების მიმართ ვალდებულებების დარიცხვა აისახება 3251, 3252, 3258 ან 3286 ანგარიშების დებეტსა და 3260 ანგარიშის კრედიტში. გაცემული სადეპონენტო დავალიანების თანხებზე დებეტდება 3260 ანგარიში და კრედიტდება ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშები.

22. დეპონირებული თანხები უნდა მობრუნდეს ხაზინის ერთიან ანგარიშზე და განთავსდეს დეპოზიტების სახით ორგანიზაციის სადეპოზიტო სახაზინო კოდზე.

23. წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა და სხვა შემოსავლები აისახება ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და 3281 ან 3282 ანგარიშების კრედიტში. ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება აისახება 3281 ან 3282 ანგარიშის დებეტსა და შემოსავლების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

24. გადასახდელი რენტის, პროცენტების და სხვა ვალდებულებების დარიცხვა აისახება ხარჯების შესაბამისი ანგარიშების დებეტში, 3283, 3284 ან 3286 ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით. ვალდებულებების დაფარვა აისახება 3283, 3284 ან 3286 ანგარიშების დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200), აქტივების (ვალდებულებების არამონეტარული ოპერაციით დაფარვის შემთხვევაში) ან არასაოპერაციო შემოსავლების (8100) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

25. დივიდენდების სახით გადასახდელი ვალდებულების წარმოქმნა აღირიცხება საკუთარი კაპიტალის შესაბამის ანგარიშის დებეტსა და გადასახდელი დივიდენდების (3285) ანგარიშის კრედიტში, ხოლო დაფარვა – გადასახდელი დივიდენდების (3285) ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) ანგარიშის კრედიტში.

26. კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერა ხდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით და აისახება კრედიტორული დავალიანებების შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და არასაოპერაციო შემოსავლების (8100) ანგარიშის კრედიტში (გარდა ურთიერთშეთანხმებით ჩამოწერილი კრედიტორული დავალიენებებისა).

27. კრედიტორული დავალიანებების პატიება კრედიტორსა და დებიტორს შორის ურთიერთშეთანხმებით, აღრიცხვაში აისახება როგორც დებიტორისათვის კრედიტორის მიერ უზრუნველყოფილი კაპიტალური გრანტი ან ტრანსფერი. ვალის პატიების შედეგს წარმოადგენს ვალდებულებების შემცირება და კაპიტალის ღირებულების ზრდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერაციის მეორე მხარეს წარმოადგენს უცხო ქვეყნის მთავრობა/საერთაშორისო ორგანიზაცია ან რომელიმე ერთეული, სხვა სახელმწიფო ერთეულის შემადგენლობიდან, მაშინ ასეთი ოპერაცია განიხილება როგორც შემოსავალი კაპიტალური გრანტის სახით. თუ ოპერაციის მეორე მხარეს წარმოადგენს სხვა ნებისმიერი ტიპის ერთეული, მაშინ ეს ოპერაცია აღირიცხება როგორც ნებაყოფილობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა.

28. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ერთეულები იძლევიან გარანტიას სხვა ერთეულების მიერ აღებულ სავალო ვალდებულებებზე, აღირიცხება როგორც ამ სახელმწიფო ერთეულის ვალდებულება კრედიტორის მიმართ, ხოლო თავდაპირველი დებიტორის ვალდებულება უქმდება. ვალის აღიარებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც კრედიტორი იყენებს სახელშეკრულებო პირობებს, რომლითაც უფლება აქვს მოითხოვოს გარანტია, ხოლო სახელმწიფო ერთეული თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ იღებს სავალო ვალდებულებას, როგორც ძირითადი მევალე ან დებიტორი.

29. სახელმწიფო ერთეულის მიერ სხვა ერთეულების ვალის აღიარება ან სხვა ერთეულებზე ვალის გადაცემა აღრიცხვაში აისახება არაფინანსური აქტივების მსგავსად.

30. ვადაგადაცილებული დავალიანებები ანგარიშგებაში აისახება საცნობარო მუხლის სახით – ვადაგადაცილებული დავალიანებების 09 ანგარიშზე.

მუხლი 31. აღრიცხვაში ასახვის დრო

1. ოპერაციები ფინანსური ვალდებულებებით აისახება მაშინ, როდესაც ფინანსური ვალდებულების თანხობრივი ოდენობა იზრდება ან კლებულობს. აღნიშნული მომენტი დგება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ხელმოწერილია ან დებიტორი კრედიტორს უხდის თანხას ან გადასცემს სხვა რომელიმე ფინანსურ აქტივს.

3. იმ შემთხვევაში, როცა ოპერაცია ფინანსური ვალდებულებით მოიცავს არაფინანსური აქტივის მიღებას, ვალდებულების წარმოქმნა აღრიცხვაში აისახება არაფინანსური აქტივის მიღების მომენტში.

**მუხლი 32. ღირებულებითი შეფასება**

1. ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნის ან დაფარვის ღირებულებას წარმოადგენს მათი გაცვლის ღირებულება.

2. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულებების და სხვა კრედიტორული დავალიანებების ღირებულება დებიტორის მიერ კრედიტორისათვის გადაცემული ფინანსური და არაფინანსური აქტივების ღირებულებით განისაზღვრება.

3. ოპერაციების განხორციელებაზე გაწეული მომსახურების საფასური, მოსაკრებლები, საკომისიოები და მსგავსი გადახდები, და ამ ოპერაციებზე გადასახდელი ნებისმიერი გადასახადი გამოირიცხება ფინანსური ვალდებულებების და სხვა კრედიტორული დავალიანებების ოპერაციებისგან და განიხილება როგორც ხარჯვითი ოპერაციები.

4. თუ ოპერაციები ფინანსური ვალდებულებებით მოიცავს მომსახურებისთვის დარიცხულ არაპირდაპირ მოსაკრებლებს და შეუძლებელია ასეთი მომსახურების ელემენტის შეფასება, ოპერაციის მთლიანი ღირებულება განხილული უნდა იქნეს როგორც ოპერაცია ფინანსური ვალდებულებებით.

5. დეპოზიტის ღირებულებას ეროვნულ ვალუტაში მისი ნომინალური ღირებულება წარმოადგენს (თანხა, რომელიც დეპოზიტის ლიკვიდაციისას, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დებიტორმა უნდა გადაუხადოს კრედიტორს).

6. ფინანსური იჯარის შედეგად წარმოქმნილი ფარული სესხის საწყის ღირებულებას წარმოადგენს იჯარით მიღებული არაფინანსური აქტივის ღირებულება.

7. საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების ღირებულებას წარმოადგენს მიღებული საქონლის ან მომსახურების ღირებულება.

## თავი VI

## დაფინანსება

**მუხლი 33. დაფინანსების აღრიცხვა**

1. დაფინანსება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის მიხედვით აღირიცხება ორ ანგარიშზე: ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება – (4100) და ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად – (4200).

2. ანგარიშზე – „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება" (4100) – აღირიცხება ორგანიზაციისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები (საბიუჯეტო სახსრები, კრედიტები და გრანტები). ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღება აისახება 1250 ანგარიშის დებეტსა და 4100 ანგარიშის კრედიტში.

3. ანგარიშზე – „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად" (4200) – აღირიცხება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების თანხები. მიღებული დაფინანსების თანხები აიასახება 1250 ანგარიშის დებეტსა და 4200 ანგარიშის კრედიტში.

4. მიმდინარე წელს გადახდილი თანხების მობრუნება აისახება დაფინანსების (4000) შესაბამისი ანგარიშების დებეტში 1250 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით.

5. გასულ წლებში გადახდილი და გამოუყენებელი საბიუჯეტო/არასბიუჯეტო სახსრები აღირიცხება მოთხოვნების ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით ანგარიშის დებეტში და ხარჯების ან აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. ხოლო მობრუნებული თანხა ორგანიზაციის ანგარიშზე განთავსების შემთხვევაში, აღირიცხება ფულადი სახსრების (1100-1200) ანგარიშის დებეტში და მოთხოვნების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში; ამასთან, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების წარმოქმნა(საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში) აისახება წმინდა ღირებულების (5100) ანგარიშის დებეტში და 3245 ანგარიშის კრედიტში. ხოლო თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვის შემთხვევაში, ვალდებულების დაფარვა აისახება 3245 ანგარიშის დებეტში და ფულადი სახსრების ანგარიშის (1100-1200) კრედიტში.

6. იმ შემთხვევაში, როცა დებიტორის მიერ მოხდება მობრუნებული თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვა, (ორგანიზაციის სახაზინო ანგარიშზე განთავსების გარეშე), ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულების წარმოქმნა აღრიცხვაში აისახება წმინდა ღირებულების (5100) ანგარიშის დებეტში და 3245 ანგარიშის კრედიტში, ხოლო ვალდებულების დაფარვა აისახება 3245 ანგარიშის დებეტსა და მოთხოვნების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.

7. დაფინანსების ანგარიშები გადაიხურება წმინდა ღირებულების (5100) ანგარიშზე.

8. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ანგარიშგებაში აისახება ასიგნებების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯების შესაბამისი მოცულობით.

9. ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში მიღებული დაფინანსება ორგანიზაციების მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით.

10. მესამე პირის მიერ განხორციელებული გადახდები, ორგანიზაციის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებში და ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.

## თავი VII

## შემოსავლები

**მუხლი 34. საოპერაციო შემოსავლების ცნება, კლასიფიკაცია და ანგარიშთა გეგმა**

1. საოპერაციო შემოსავალი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ოპერაციის შედეგად კაპიტალის ზრდას.

2. საოპერაციო შემოსავლების ანგარიშები მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული შემოსავლების სახეებს, ფულადი და სასაქონლო ფორმით.

3. სახელმწიფო ერთეულებისათვის საოპერაციო შემოსავლისძირითადი წყაროებია გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები.

4. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის, დამატებით გამოყენებულია შემდეგი ანგარიშები:

ა) მიმდინარე/კაპიტალური გრანტები ფულადი ფორმით (ანგარიშები 6311; 6312) – აღირიცხება ფულადი ფორმით მიღებული მიმდინარე და კაპიტალური გრანტები:

ბ) მიმდინარე/კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით (ანგარიშები 6321; 6322) – აღირიცხება სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე და კაპიტალური გრანტები;

გ) მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა (ანგარიში 6441) – აღირიცხება მიმდინარე მიზნებისათვის მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა;

დ) კაპიტალური ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა (ანგარიში 6442) – აღირიცხება კაპიტალური მიზნებისათვის მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა.

**მუხლი 35. საოპერაციო შემოსავლების აღრიცხვა**

1. ორგანიზაციების მიერ საოპერაციო შემოსავლების აღრიცხვისათვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი. ფულადი ფორმით მიღებიული მიზნობრივი გრანტები და მიზნობრივი ტრანსფერების შემთხვევაში დასაშვებია საკასო მეთოდის გამოყენება.

2. შეცდომით მიღებული საგადასახადო შემოსავლების დაბრუნებები და კორექტირებები (მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად იმ ოპერაციებს ჰგავს, რომლებიც შესაბამისი გადასახადის დამწესებელი სახელმწიფო ერთეულის კაპიტალს ამცირებს), იმ მაკორექტირებელ ჩანაწერებს წარმოადგენენ, რომლებიც ადრე ასახული და ზედმეტად გაზრდილი კაპიტალის (წმინდა ღირებულების) შესწორების საშუალებას იძლევა, აღნიშნული ოპერაციები უარყოფით შემოსავლებად განიხილება.

3. საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა ფინანსური აქტივის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად ხორციელდება. საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ხდება პროცენტის დარიცხვა, შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სესხის ძირითადი თანხის გარკვეული პროცენტი, წინასწარ განსაზღვრული თანხის ოდენობა, ან ორივე ერთად. დებიტორსა და კრედიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეიძლება მოითხოვდეს დარიცხული პროცენტის გადახდას პერიოდული გადახდების სახით, ან დაგროვილი პროცენტის გადახდა ხელშეკრულების დასრულებამდე არ იყოს სავალდებულო. შესაძლებელია, ასევე აღნიშნული ორი მეთოდის კომბინაციაც. დარიცხული პროცენტის გადაუხდელი თანხის ოდენობით იზრდება დებიტორის მთლიანი ვალდებულება კრედიტორის მიმართ. ნებისმიერი პერიოდული თუ სხვა სახის გადახდები ამცირებს მთლიანი ვალდებულების მოცულობას, მაგრამ ისინი შემოსავლების ოპერაციებს არ წარმოადგენენ.

4. დივიდენდები აღრიცხვაში აისახება იმ თარიღით, რომლისთვისაც გამოცხადებულია მათი გადახდა ან თუ ასეთი თარიღი წინასწარ არ არის გამოცხადებული, იმ თარიღით, როდესაც მოხდება მათი გადახდა. ყველა ასეთი სახით ამოღებული თანხა აისახება იმ თარიღით, როდესაც ფაქტობრივად ხდება გადახდა.

